პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 1944 წ. № 176 (7129). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

დღეს სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავია!

შრომის ფრონტის სახელოვანმა ადამიანებმა დიდი სამამულო ომის პერიოდში გაამრავლეს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო წარმატებანი, მისცეს გმირ წითელ არმიას ყველაფერი, რაც საჭიროა ვერაგი მტრის განადგურებისათვის.

გაუმარჯოს ომის პერიოდის სტახანოველებს, რომელთა თავდადებული შრომა წითელი არმიის გამარჯვებათა უშრეტი წყაროა!

დიდი სტალინის წინამძღოლობით წინ, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ტოლბუხინს
ადმირალ ოქტიაბრსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოტორიზებული და სატანკო შენაერთების სწრაფი შეტევის შედეგად, **შავი ზღვის** ფლოტის ხომალდებთან და სადესანტო ნაწილებთან თანამოქმედებით, დღეს, 29 აგვისტოს, დაიკავეს ქალაქი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგური შავ ზღვაზე — **კონსტანცა**, რომელიც სამი წლის განმავლობაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითად ბაზას წარმოადგენდა.

ქალაქ და ნავსადგურ **კონსტანცის** დაკავებისას თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გაგენის**, გენერალ-მაიორ **კოსოგუცკის**, პოდპოლკოვნიკ **ზავიალოვის**, მაიორ **შევკინის**, პოლკოვნიკ **კუზნეცოვის**, გენერალ-მაიორ **ლისიცინის**, პოლკოვნიკ **ბელინსკის**, პოლკოვნიკ **ვლასოვის**, პოლკოვნიკ **სმირნოვის** ჯარებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სუხორუჩკინის**, პოლკოვნიკ **შევჩენკოს** ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრეიდოს**, პოლკოვნიკ **ბატლიაევის** არტილერისტებმა; 1-ლი რანგის კაპიტან **ჩურსინის**, 1-ლი რანგის კაპიტან **სოლოვიოვის**, 1-ლი რანგის კაპიტან **დერევიანკოს**, 1-ლი რანგის კაპიტან **სვერდლოვის**, მე-2 რანგის კაპიტან **დიაჩენკოს**, მე-2 რანგის კაპიტან **პროცენკოს**, მე-2 რანგის კაპიტან **დავიდოვის**, მე-3 რანგის კაპიტან **გნატენკოს**, მაიორ **კატანოვის**, კაპიტან **მაკაროვის** მეზღვაურებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ერმაჩენკოვის**, პოლკოვნიკ **კორზუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **როჟდესტვენსკის**, პოდპოლკოვნიკ **ავდეევის**, პოლკოვნიკ **კონარევის**, მაიორ **კრუჩენიხის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კოტლიარის**, პოლკოვნიკ **ივანოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოროლიოვის**, პოლკოვნიკ **სტაროლეტოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული წარმატების აღსანიშნავად საჯარისო შენაერთები, ფლოტის ხომალდები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და ნავსადგურ **კონსტანცის** დაკავებისას, წარდგენილი იქნან „**კონსტანცის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 აგვისტოს, 24 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, შავი ზღვის ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური **კონსტანცა**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **კონსტანცის** დაკავებაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 29 აგვისტო.

საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეს გენერალ დე-გოლს

პარიზი

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მიიღეთ, ბ-ნო გენერალო, საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით და პირადად ჩემგან მეგობრული მოლოცვა ფრანგი ხალხისადმი და გერმანელთა ჩაგვრისაგან საფრანგეთის უსწრაფესი განთავისუფლების სურვილები.

ი. სტალინი

მეორე მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადაეცა საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს და ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“—საბჭოთა კავშირის მარშალს ა. მ. ვასილევსკის

29 აგვისტოს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მეორე მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა საბჭოთა კავშირის გმირს საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს, რომელიც დაჯილდოებულია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრონტების ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის, და ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად — **საბჭოთა კავშირის მარშალს ა. მ. ვასილევსკის**, რომელიც დაჯილდოებულია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრონტების ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის.

ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ მ. მ. ფიცხელაურის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა, რიგითი და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი **მიხეილ მიხეილის-ძე ფიცხელაური**.

უფროს ლეიტენანტ გ. ბ. ჯალაღანიას დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტოპოგრაფიული რუკების დამზადების და ამ რუკებით წითელი არმიის უზრუნველყოფის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა წითელი არმიის ტოპოგრაფიული სამსახურის ოფიცერთა, სერჟანტთა, რიგითი და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებულია უფროსი ლეიტენანტი **გიორგი ბესარიონის-ძე ჯალაღანია**.

გ. კ. კაკუშაძისა და ი. ა. მითაიშვილის დაჯილდოება

22 აგვისტოს ამერიკის საელჩოში მოსკოვში შესდგა ამერიკის ორდენების გადაცემა, რომლებითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ დ. რუზველტმა 1944 წელს დააჯილდოვა წითელი არმიის მებრძოლები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები მამაცობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ოპერაციებში თავიანთი სამხედრო მოვალეობის ჩინებულად შესრულებისათვის.

მათ შორის ორდენით **„ჯვარი საბრძოლო დამსახურებისათვის“** დაჯილდოებულია გვარდიის ზემდეგი გ. კ. კაკუშაძე და ოფიცრის ორდენით **„დამსახურებისათვის“**—პოლკოვნიკი ი. ა. მითაიშვილი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
29 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

29 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **ვალგის** სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ტახევა, ლივაააასი, ნიგლი, მუჟუირი, პოკანი, ალჟაანი, იანუჟი, გლოძე, სტატი**.

პრაგის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები და გაიუმჯობესეს პოზიციები.

რუმინეთში ბუქარესტის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებით შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს რკინიგზებისა და გზატკეცილების დიდი კვანძი ქალაქი **ბუზეუ**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პოპეშტი, ბლეჟანი, ხაიმანალელე, მატეშტი, ბალტა პლოპულუი, ნიკოლეშტი, ვილჩელელე, რომანუ, ტრაიანი, ბორდეი, ვერდე, გოლაშეი ნოუი** და რკინიგზის სადგურები **სერატი, ტრაიანი, არიჩიუ, სტუპინა, ზოიცა, გოგოკუ**.

ქალაქ **იზმაილის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **დუნაი**, განავითარეს შეტევა სამხრეთით და ჩრდილოეთ **დობრუჯის** ტერიტორიაზე დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქები **ისაქჩა, მაჩინი, ბაბადაგი**, დიდი დასახლებული პუნქტები **კარკალიული, ტურკოაია, ჩერნა, პეჩინიაგა, დორობანცული, ჩუკუროვა** და რკინიგზის სადგური **ბაბადაგი**.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოტორიზებული და სატანკო შენაერთების სწრაფი შეტევის შედეგად **შავი ზღვის** ფლოტის ხომალდებთან და სადესანტო ნაწილებთან თანამოქმედებით 29 აგვისტოს დაიკავეს ქალაქი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგური შავ ზღვაზე — **კონსტანცა**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

28 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 60 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 27 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ვალგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და ბრძოლებით წინ წაიწიეს 10 კილომეტრამდე. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე გაუიას (კოივას). გერმანელები განდევნილი არიან ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტებიდან, მათ შორის დიდ დასახლებულ პუნქტ ბლომედან. მოსპობილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ საომარი მასალების ორი საწყობი და საწყობი სამხედრო ქონებიანად.

* * *

პრაგის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ვარშავის გარეუბანი მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირზე) დღის პირველ ნახევარში აღნიშნული იყო გერმანელთა მზვერავი რაზმების გაძლიერებული აქტივობა. დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ნაწილები ჰიტლერელებს ყველა სახის იარაღის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ და აიძულეს ისინი სასწრაფოდ დაეხიათ უკან. ჩვენმა ქვეითებმა, რომლებიც სდევნიდნენ უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. გერმანელებს წაართვით 9 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი და 5 ნაღმსატყორცნი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

რუმინეთში ქალაქ ბუქარესტის ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა წინ წაიწიეს 30 კილომეტრით და მიადგნენ მდინარე ბუზეუს. გერმანელები გამაგრდნენ ამ მდინარის სამხრეთ ნაპირზე და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს წყლის დაბრკოლება და შეიჭრნენ ქალაქ ბუზეუში. მოწინააღმდეგე ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა რკინიგზებისა და გზატკეცილების დიდი კვანძი, რომელიც იფარავს რუმინეთის სატახტო ქალაქ ბუქარესტისაკენ და პლოეშტის ნავთის სარეწებისაკენ მიმავალ გზებს. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმებით გაანადგურეს გერმანელები, რომლებიც უწესრიგოდ გაიქცნენ. წამოღებულია დიდძალი დავლა და წამოყვანილია მრავალი ტყვე. საბჭოთა ნაწილები სხვა უბანზე გარს შემოერტყნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის ორ ბატალიონს და მოსპეს ისინი. წამოყვანილია 400 ტყვე. ხელთ ვიგდეთ 23 ქვემეხი, 60 ტყვიამფრქვევი, 1.000-ზე მეტი შაშხანა და ავტომატი და დიდი ალალი სამხედრო ქონებიანად.

* * *

ქალაქ იზმაილის დასავლეთით ჩვენი ჯარები გადავიდნენ მდინარე დუნაიზე, განავითარეს შეტევა და წინ წაიწიეს სამხრეთისაკენ 40-მდე კილომეტრით. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც ტულჩა-კონსტანცის გზატკეცილის გასწვრივ უტევენ, დაიკავეს ქალაქი ბაბადაგი. ამ რაიონში ტყვედ წამოვიყვანეთ მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა მოძრავი რაზმები გარს შემოერტყნენ გერმანელთა ჯარების ცალკე ნაწილებს და ქვეგანაყოფებს და მოსპეს ისინი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტის ხომალდებთან და სადესანტო ნაწილებთან თანამოქმედებით დღეს დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური კონსტანცა. ჩვენმა სატანკო და მოტორიზებულმა შენაერთებმა სწრაფად წაიწიეს წინ სამხრეთისაკენ და თავის გზაზე გაანადგურეს მოწინააღმდეგის ჯარების ცალკე ჯგუფები. შავი ზღვის ფლოტის გემებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტის დახმარებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კონსტანცა. კონსტანცა რუმინეთის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. სამი წლის განმავლობაში ეს ნავსადგური გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითად ბაზას წარმოადგენდა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ლეპაიის (ლიბავის) რაიონში მოწინააღმდეგის გემებს ბადრაგზე, რომელიც ორი ტრანსპორტისა, სამი წყალქვეშა ნავისა და ორი საგუშაგო ხომალდისაგან შესდგებოდა. საბჭოთა მფრინავებმა ჩასძირეს გერმანელთა ერთი ტრანსპორტი 12 ათასი ტონა წყალწყვისა და ორი წყალქვეშა ნავი.

* * *

რამდენიმე დღის წინათ სიტყვით გამოვიდა უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ბონცოში. მისი სიტყვა მჭევრმეტყველურად ადასტურებს უნგრეთის მოსახლეობის განწყობილებას. უკანასკნელი ამბებით შეშინებულმა გერმანელთა დაქირავებულმა წამოაყრანტალა ის, რის დამალვასაც ჰიტლერელები ყოველნაირად ცდილობენ. ბონცოშმა სთქვა: „ჩვენს ზურგში ადგილი აქვს ისეთ გამოსვლებს, რომლებიც ემუქრებიან სახელმწიფო წყობილების სიმტკიცეს... უნგრეთის შინაგანი ცხოვრების ერთ-ერთ უაღრესად სახიფათო სიმპტომს წარმოადგენს ურთიერთ უნდობლობა ხალხსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის. სახელმწიფო ხელისუფლება უნდობლობას იჩენს მოქალაქეებისადმი, ხოლო მოქალაქეები უნდობლობას იჩენენ მთავრობისადმი და არ სჯერათ, რასაც ხელისუფლები იუწყებიან“.

უნგრელი ფაშისტი ბონცოში მკაცრი სასჯელით ემუქრება უკმაყოფილოებს და ფიცს სდებს, რომ იგი „დაიცავს ჟანდარმის მახვილისა და პოლიციელის ხმლის ღირსებას“. „სანამ მე ამ პოსტზე ვიქნები,—განაცხადა უნგრეთის მინისტრმა,—არ დავუშვებ, რომ უნგრეთში მღელვარება ხდებოდეს“.

როცა ჯალათების ფეხქვეშ მიწა რყევას იწყებს, ისინი ცდილობენ სისხლიანი ტერორით, სახრჩობელებითა და დახვრეტით გაახანგრძლივონ თავიანთი არსებობა. განა დიდი ხანია, რაც ბონცოშის წინამორბედი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე იაროში ლანძღვა-გინებისა და მუქარის ნიაღვარს აფრქვევდა თავის უკმაყოფილო თანამემამულეთა მისამართით. „იმათ, ვინც წინააღმდეგობას ეწევა, შევაგნებინებ, რას ნიშნავს სამხედრო დისციპლინა“,—ხმის ჩახლეჩამდე გაიძახოდა ჰიტლერის უნგრელი ხელქვეითი. იაროში აღმოჩნდა მინისტრი ერთი საათის ვადით. უკვე შორს არ არის ის დრო, როცა ჰიტლერის ყველა უნგრელი მსახური თავდაყირა დაგორდება. ეს გაცილებით უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ისინი ფიქრობენ.

საკდესი უარყოფს

უცხოეთის პრესაში ვრცელდება ხმები, თითქოს საბჭოთა მთავრობამ იცნო ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი და მოიწონა იგი. საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან საბჭოთა ხელმძღვანელ წრეებს ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი სავსებით არასაკმარისად მიაჩნიათ შექმნილი ვითარების პირობებში.

უკანასკნელი ცნობები

სლოვაკიის ოკუპაცია გერმანიის ჯარების მიერ

ჟენევა, 29 აგვისტო (საკდესი). ჰიტლერულმა სააგენტომ—გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გადასცა ცნობა, რომ სლოვაკიაში შევიდნენ გერმანიის ჯარები.

ირანის კაბინეტი გადადგა

თეირანი, 28 აგვისტო (მიღებულია დაგვიანებით). (საკდესი). 26 აგვისტოს საღამოს საედის მთავრობა გადადგა. 27 აგვისტოს შაჰმა საედსავე დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

უნგრეთის მთავრობა გადადგა

ჟენევა, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც ჰიტლერული სააგენტო — გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღეს გადადგა უნგრეთის მთავრობა. რეგენტმა ჰორტიმ ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნა გენერალი ლაკატოში.

ჩერჩილი ინგლისს ჩავიდა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს საღამოს პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი თვითმფრინავით იტალიიდან ინგლისს ჩამოვიდა.

ფინეთის ქალაქებში პოლიცია ჩხრეკას აწარმოებს

სტოკჰოლმი, 29 აგვისტო (საკდესი). ფინურმა გაზეთმა „უუსი სუომიმ“ გადასცა ცნობა, რომ უკანასკნელ დღეებში პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა-დაპატიმრება ჰელსინკში და ფინეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში. პოლიციამ დააპატიმრა მრავალი პირი, რომლებიც როგორც დეზერტირები გაიქცნენ ფინეთის არმიიდან, აგრეთვე თავს არიდებენ მობილიზაციას შრომის ბეგარის მოსახდელად.

ვამრავლოთ ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები

დღეს სტახანოვური მოძრაობის 9 წლისთავია. ჩვენი ქვეყანა მეოთხედ აღნიშნავს ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობის წლისთავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში.

1935 წლის 30 აგვისტოს დონბასის სახელოვანმა ადამიანმა ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია, ნორმას თოთხმეტჯერ გადააჭარბა და ამით დასაწყისი მისცა სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, მის უმაღლეს ეტაპს.

სტახანოვური მოძრაობა, რომელიც დაკავშირებული იყო ახალ ტექნიკასთან, ამ ტექნიკას დაუფლებულ ახალ ადამიანებთან, უაღრესად სწრაფად მოედო მთელს საბჭოთა კავშირს, გავრცელდა, „...არა თანდათანობით, არამედ რაღაც უნახავი სისწრაფით, გრიგალივით“. (ი. სტალინი). სტახანოველებმა გადალახეს ძველი ტექნიკური ნორმები, არსებული საპროექტო სიმძლავრენი, გეგმები, ბალანსები, დაამსხვრიეს ძველი შეხედულებანი ტექნიკაზე და შექმნეს ახალი. სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ქვემოდან თავისთავად დაიწყო და წარმოადგენს „...თანამედროვეობის ყველაზე ცხოველმყოფელ და უძლეველ მოძრაობას“, სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევიდა, როგორც მისი ერთ-ერთი უაღრესად სახელოვანი ფურცელი.

სტახანოვურმა მოძრაობამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში, როგორც ეს გენიალურად განჭვრიტა ამხანაგმა **სტალინმა** თავის ისტორიულ სიტყვაში მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე.

ჯერ კიდევ ომამდე სტახანოველებმა უდიდესი როლი შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების, ნედლეული მასალის ეკონომიის, ტექნიკის განვითარების საქმეში, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

სამამულო ომის დღეებში აღიზარდნენ სტახანოველთა ახალი კადრები, გამოვლინდნენ ომიანობის დროის სტახანოველები, რომლებმაც საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითები გვიჩვენეს. ახლა ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში მრავლად არიან ორასოვნები, სამასოვნები, ხუთასოვნები და ათასოვნები. ისინი ზურგში შრომითი გმირობის სასწაულებს გვიჩვენებენ და უხვად აძლევენ ფრონტს, წითელ არმიას ყოველივე იმას, რაც საჭიროა საზიზღარ ჰიტლერელთა სრული განადგურებისათვის.

თბილისელმა სტახანოველმა ე. ხიზანიშვილმა ომის დაწყებისთანავე გამოიჩინა თავი. იგი გეგმებს სისტემატურად 800-900 პროცენტით ასრულებდა, მაგალითს აძლევდა თავის ამხანაგებს და ბევრი ახალი სტახანოველი აღზარდა. ფრონტული ბრიგადის ხელმძღვანელია სტახანოველი ზეინკალი ვ. ბეჟუაშვილი, რომელიც ყოველთვიურ გეგმებს 450-500 პროცენტით ანაღდებს. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მეყალიბე ი. მირზოევი დიდიხანია ათასოვანი გახდა. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ტყიბულელმა სემივოლოსელმა ბიძინა თოდიძემ. მან ოთხი დღის განმავლობაში აგვისტოს მთელი პროგრამა შეასრულა.

სტახანოველი რაციონალიზატორები წინ სწევენ ტექნიკას და აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის შემდუღებელმა ზაქარია ნადირაძემ თუჯის შედუღების ახალი მეთოდი გამოიმუშავა, რაც ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად ასეულ ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევს. საორთქლმავლო ქვაბების ოსტატმა მიხეილ გეწაძემ ლითონის ფურცლების მოღუნვის ისეთი საშუალება გამოიგონა, რომ ორი კაცი ერთ დღეში ასრულებს იმ სამუშაოს, რასაც წინათ 5-6 კაცი მთელ თვეს უნდებოდა.

სტახანოველები და დამკვრელები დიდი წარმატებით მუშაობენ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. ულიანოვკის მტს-ის სახელოვანი ტრაქტორისტი სოფიო უსენაშვილი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა ინგირის ჩაის კრეფის ოსტატი ქიონია სარსანია, ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის წარჩინებული მკრეფავები ხატიჯე და ხაჯერ კაკაბაძეები, ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანი ნაზია კუჭავა ომიანობის დროის სტახანოველები არიან. ათეულ ათასობით სტახანოველები მუშაობენ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. მრავალი მათგანის გმირული შრომა სამამულო ომის ვითარებაში უმაღლესი ჯილდოებით — ორდენებითა და მედლებით აღინიშნა.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო ვამრავლოთ ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები, ახალგაზრდობიდან აღვზარდოთ ახალი კვალიფიციური კადრები, სანიმუშოდ მოვაწყოთ სტახანოვური სკოლები, დავნერგოთ წარმოების ნაკადური მეთოდი, კიდევ უფრო გავაჩაღოთ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ნაკლები მუშახელით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან შექმნან ყველა პირობა სტახანოველთა რიგების შემდგომი ზრდისათვის.

წითელი არმიის უმაგალითო ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში აღვნიშნავთ დღეს დიადი სტახანოვური მოძრაობის სახელოვან 9 წლისთავს. დიდი **სტალინის** გენიალური მხედართმთავრობით ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან ვერაგ მტერს აღმოსავლეთ პრუსიის მისადგომებთან, რუმინეთში, სამამულო ომის მთელ გრანდიოზულ ფრონტზე. მოახლოვდა ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობის ჟამი.

და რაც უფრო გავამრავლებთ სტახანოველთა რიგებს, რაც უფრო უკეთესად იმუშავებენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები და მაღაროები, რკინიგზის ტრანსპორტი, კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, მით უფრო მალე დადგება ვერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სასიხარულო დღე!

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. პ. გ. რთველაძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. პეტრე გიორგის-ძე რთველაძე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1944 წ. 29 აგვისტო. ქ. თბილისი.

ლეიტენანტ პ. ა. ლობჟანიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა გენერლების, ოფიცერთა, ზემდეგთა, რიგითი და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **სამამულო ომის I ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია ლეიტენანტი **პავლე აკაკის-ძე ლობჟანიძე**.

მ. ს. გოცირიძეს და ვ. ე. სალაძეს ინჟინერ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭათ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საავიაციო მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს მიენიჭა სამხედრო წოდებები. მათ შორის **ინჟინერ-პოლკოვნიკის** წოდება მიენიჭათ **მიხეილ სიმონის-ძე გოცირიძეს** და **ვლადიმერ ერემიას-ძე სალაძეს**.

ი. ი. მეჩნიკოვის დაბადების ასი წლისთავი

გამოჩენილი რუსი მეცნიერის, თანამედროვე ექსპერიმენტული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებლის ი. ი. მეჩნიკოვის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 1945 წელს სრულდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა შექმნა მეჩნიკოვის კომიტეტი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ამხ. დ. ა. მიტერევის თავმჯდომარეობით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან აკადემიკოსები ნ. ნ. ბურდენკო, ა. ი. აბრიკოსოვი, ლ. ა. ორბელი, პროფესორები ვ. ვ. პარინი, ა. ნ. რაზენკოვი, ლ. ა. კორეიშა და საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

კომიტეტს დაევალა საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მომზადება. (საკდესი).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

გამოკვლევის მასალების, დამსწრეთა ჩვენებებისა და ფოტოდოკუმენტების საფუძველზე საგანგებო სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ ჰიტლერელმა ბანდიტებმა გერმანიის სამხედრო სარდლობის მითითებით დაანგრიეს და მოსპეს რუსი ხალხის კულტურულ-ისტორიული ძეგლები, დაკავშირებულნი დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

საგანგებო სახელმწიფო კომისია ქვემოთ აქვეყნებს აქტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის ნაკრძალში გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების მიერ ჩადენილი ნგრევისა და ბოროტმოქმედების შესახებ.

„აქტი

რუსი ხალხის იმ კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა დაცვის მიზნით, რომლებიც დაკავშირებული არიან გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, საბჭოთა მთავრობამ 1922 წლის 17 მარტს პოეტის კარმიდამო მიხაილოვსკოეში, მისი საფლავი სვიატოგორსკის მონასტერში და ახლო მდებარე ადგილები — ტრიგორსკოე, გოროდიშჩე და სოფელი ვორონიჩი სახელმწიფო ნაკრძალად გამოაცხადა.

პუშკინის ნაკრძალი და, განსაკუთრებით, პოეტის კარმიდამო მიხაილოვსკოეში ძვირფასია რუსი ხალხისათვის; აქ პუშკინმა დაამთავრა „ევგენი ონეგინის" მესამე თავი და შექმნა მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავი, დაამთავრა პოემა „ბოშები", დასწერა ტრაგედია „ბორის გოდუნოვი", ბევრი პოემა და ლირიკული ლექსი.

1941 წლის ივლისში პუშკინის ნაკრძალში შეიჭრნენ ჰიტლერელები. ისინი სამ წელს პარპაშებდნენ აქ, ანგრევდნენ და სპობდნენ პუშკინის ძეგლებს.

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. პ. ბოიცოვი, მწერალი ლ. მ. ლეონოვი, მწერალი კ. ა. ფედინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი პ. ი. ლებედევ-პოლიანსკი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. დ. ბლაგოი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ქ. გუძი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ბ. ვ. შაპოშნიკოვი და საგანგებო სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელი პ. ო. სავჩუკი, 1944 წლის 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე ყოველმხრივ გამოიკვლია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ პუშკინის ნაკრძალში ჩადენილი ნგრევა და ბოროტმოქმედება და დაადგინა, რომ გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა წინასწარ განზრახვით დაანგრიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის ნაკრძალი.

პოეტის კარმიდამოს დანგრევა მიხაილოვსკოეში

სამამულო ომის დასაწყისში მიხაილოვსკოეში არსებული პუშკინის მუზეუმის ძვირფასეულობათა ნაწილი ევაკუაციის დროს გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში ნოვორჟევის რაიონის სოფელ ჟარკში. ძვირფასეულობათა მეორე ნაწილი ჩალაგებული იყო ყუთებში და მიწაში იყო ჩაფლული. თავდაპირველად გერმანელებმა, რომლებსაც თავი „კულტურის დამცველებად" მოჰქონდათ, მუზეუმი გახსნეს მნახველთათვის. როგორც შემდეგ გამოირკვა, გერმანელებმა მუზეუმი იმისათვის გახსნეს, რომ შეეგროვებინათ სამუზეუმო ძვირფასეულობანი, რომლებსაც მათ უმალავდნენ, ხოლო შემდეგ გერმანიაში გაეტანათ ისინი.

როდესაც მუზეუმის ძვირფასეულობანი კვლავ შეგროვებულ იქნა, გერმანელებმა მუშაობას ჩამოაშორეს მუზეუმის წინანდელი მოსამსახურეები, ხოლო ზოგიერთი დააპატიმრეს. მაგალითად, 1942 წელს დაპატიმრებულ იქნა პუშკინის ნაკრძალის დირექტორის მოადგილე ნ. ი. აქსენოვი. 700 კაცს შორის 1942 წლის 25 აპრილს გერმანიის ტყვეობაში წაყვანილ იქნა მუზეუმის ბიბლიოთეკაში მომუშავე ეკატერინე ივანოვა. იგი მოხვდა კრაისტორგაუში, სადაც საბჭოთა კავშირში გამოქცევის ცდისათვის იგი საპატიმროში ჩასვეს. მუზეუმის გამგედ გერმანელებმა დანიშნეს ლიტერატურის უცოდინარი კაცი—მეტყევე კ. ვ. აფანასიევი. მუზეუმის ექსკურსიების ხელმძღვანელად ოკუპანტებმა გამოგზავნეს გერმანელი ქალი შილერი. მუზეუმის ძვირფასეულობათა დატაცება ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში დაიწყო.

გერმანიის სამხედრო კომენდატურის წარმომადგენელი ობერ-ფელდფებელი ფოსფინკელი ბევრჯერ მოსულა მუზეუმში და წაუღია იქიდან ყველაფერი, რაც მას მოსწონდა—სურათები, ავეჯი, წიგნები.

1943 წლის შემოდგომაზე პუშკინის სამხედრო კომენდატურის კომენდანტმა ტრაიბჰოლცმა წინადადება მისცა კ. ვ. აფანასიევს საევაკუაციოდ მოემზადებინა მუზეუმის მთელი ძვირფასეულობა. ამასთან ტრაიბჰოლცმა განაცხადა, ფრონტის მოახლოების გამო საქმე ეხება ამ ძვირფასეულობათა დაცვასო. მუზეუმის მთელი ძვირფასეულობა ჩალაგებულ იქნა, გერმანელმა ხელისუფლებმა მანქანებში ჩააწყეს იგი და გერმანიაში წაიღეს.

გერმანელების მიერ მუზეუმის ძვირფასეულობათა გატანის ფაქტს ამოწმებენ ფ. ვ. ვასილიევის, ფ. კ. დიაკონოვის, მ. ა. ივანოვას, ტ. ნ. ბელკოვას და ნაკრძალის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეკატერინე გრიგოლის-ასულ შენდელის ჩვენებანი; ეკატერინე გრიგოლის-ასულმა შენდელმა გვაცნობა:

„1943 წლის შემოდგომაზე მუზეუმთან დავინახე 10 ავტომანქანა. ამ მანქანებში რუსი სამხედრო ტყვეები გერმანელი ჯარისკაცების მეთვალყურეობით ტვირთავდნენ ყუთებს. მანქანების შოფერები გერმანელები იყვნენ. მე ვიცოდი, რომ ყუთებში იყო მუზეუმის ნივთები, რომლებიც აქამდე ერთი თვის განმავლობაში ყუთებში ლაგდებოდა გერმანელ ზინგერის და გერმანელი ქალის შილერის მეთვალყურეობით. შილერი მუზეუმში გამოგზავნილი იყო გერმანელების მიერ და ამბობდა, მე გერმანელ პოეტ შილერის ნათესავი ვარო".

ჰიტლერელები პუშკინსკიე გორიში არ კმაყოფილდებოდნენ პუშკინის ნაკრძალის ძვირფასეულობათა ძარცვით. ისინი აგრეთვე ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, აბუჩად იგდებდნენ რუს ადამიანებს და ხოცავდნენ მათ. გერმანელი სამხედრო კომენდანტი, მაიორი ზანგერი პირადად ახრჩობდა და ხვრეტდა საბჭოთა მოქალაქეებს პუშკინსკიე გორიში. გერმანიის სამხედრო კომენდატურამ განსაკუთრებული სადიზმითა და სიმკაცრით დახვრიტა ბოშები, მათ შორის ქალები და ბავშვები, რომლებიც ვიბორგის, პუშკინისა და ნოვორჟევის რაიონებში ცხოვრობდნენ. ისინი მხოლოდ იმისათვის დახვრიტეს, რომ ბოშები იყვნენ.

1943 წლის ზამთარში პუშკინსკიე გორიში გერმანელებმა გამოგზავნეს ინჟინერი იოსებ ამელი, რომელიც შეუდგა პუშკინისა და ნოვორჟევის რაიონების ტყეების განადგურებას. 1943 წლის გაზაფხულზე მან დაიწყო პუშკინის ნაკრძალის საუკუნოვანი ფიჭვნარის გაჩეხა.

პუშკინის ნაკრძალის შებღალვით აღშფოთებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად დასწვა მთელი დამზადებული ხე-ტყე. ამის შემდეგ ტყის გაჩეხვისა და ხე-ტყის დამზადების ხელმძღვანელმა ინჟინერმა იოსებ ამელმა განაცხადა, მთელ ნაკრძალს გავჩეხავო. სულ პუშკინის ნაკრძალში გაჩეხილ იქნა 30 ათასამდე კუბმეტრი ხე-ტყე.

1944 წლის თებერვლის ბოლოს მიხაილოვსკოე გერმანელებმა გადააქციეს სამხედრო ობიექტად და გერმანელთა თავდაცვის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტად. პარკის ტერიტორია გადათხრილი იყო სანგრებით, სანგარსაწლელებით, მიწური თავშესაფრებით.

„ძიძის სახლი" გერმანელებმა დაარღვიეს, ხოლო მის გვერდით და ნაწილობრივ მის ადგილასაც კი, ააგეს დიდი ხუთფენიანი ბლინდაჟი. მეორე ასეთივე ბლინდაჟი გერმანელებმა ააგეს მუზეუმის ყოფილი შენობის მახლობლად.

მიხაილოვსკოედან წასვლის წინ, გერმანელებმა დაამთავრეს პუშკინის კარმიდამოს დანგრევა და წაბილწვა. სახლი-მუზეუმი, აშენებული იმ სახლის საძირკველზე, რომელშიც პუშკინი ცხოვრობდა, გერმანელებმა დასწვეს და მისგან ნანგრევთა გროვაღა დარჩა. პუშკინის ძეგლის მარმარილოს დაფა დამტვრეულია და ნახანძრალის ახლოს ჰყრია. პუშკინის ნაკრძალის ორი სხვა სახლიდან მიხაილოვსკოეს კარმიდამოს შესასვლელთან გერმანელებმა ერთი დასწვეს, მეორე კი ძლიერ დაანგრიეს. გერმანელმა ვანდალებმა სამ ადგილას ტყვიით გახვრიტეს პუშკინის დიდი პორტრეტი, რომელიც კამარაზე ეკიდა მიხაილოვსკოეს პარკის შესასვლელში; თვით კამარა კი მოსპეს.

მიხაილოვსკოედან წასვლის შემდეგ ჰიტლერელებმა ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს მას. კიბური ჩასასვლელი მდინარე სოროტისაკენ გერმანელებმა დაანგრიეს; სახლისაკენ მიმავალი ირგვლივი ხეივნის ძველი ცაცხვები დამტვრეულია; ცენტრალური თელა სახლის წინ დაზიანებულია ყუმბარებითა და ნამსხვრევებით. პუშკინის განთქმული ხეივნის ყველაზე დიდრონი ნაძვები წაქცეულია.

ნგრევა ტრიგორსკოეში, გოროდიშჩესა და სოფელ ვორონიჩში

ტრიგორსკოესთან — პუშკინის მეგობრების, ოსიპოვ-ვულფების კარმიდამოსთან, დაკავშირებულია პოეტის სიცოცხლისა და შემოქმედების მრავალი წელი.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა გააპარტახეს და წაბილწეს პარკი ტრიგორსკოეში, გადათხარეს სანგრებით, გარს შემოარტყეს მავთულლობურები და დანაღმეს. „პუშკინის" უზარმაზარი საუკუნოვანი მუხის ქვეშ, რომელიც გადმოცემით ძლიერ უყვარდა პუშკინს, გერმანელებმა ბლინდაჟი მოაწყეს. პარკის ულამაზესი ადგილი — ფერდობი სოროტის ნაპირთან, სადაც იდგა ეგრეთწოდებული „ონეგინის სკამლოგინი", დამახინჯებულია გერმანელების მიერ. პარკში ბევრი ხე მოჭრილია, პარკის მეტი ნაწილი დანაღმულია.

ახლომდებარე სოფელი ვორონიჩი, რომელიც დაკავშირებულია „ბორის გოდუნოვის" დაწერასთან, მნიშვნელოვანწილად დანგრეულია. დამწვარია „ტურისტის სახლი" და მთელი რიგი სხვა შენობები; დანგრეულია სკოლა. დამწვარია პუშკინის დროიდან დაცული ხის ეკლესია, რომელშიც მან 1825 წლის 7 აპრილს პანაშვიდი გადაუხადა დიდ ინგლისელ პოეტ ბაირონს. სასაფლაო ეკლესიის მახლობლად, სადაც დასაფლავებული არიან პუშკინის ერთ-ერთი ნათესავი ვ. პ. ჰანიბალი და პოეტის ახლო ნაცნობი მღვდელი ი. ე. რაევსკი, დანაღმულია, გადათხრილია სანგრებით და გაპარტახებულია.

ოსიპოვ-ვულფების ოჯახის წევრთა საფლავები, რომლებიც ვორონიჩის მახლობლად მდებარე გოროდიშჩეს ბორცვზე იმყოფება, აგრეთვე წაბილწულია გერმანელების მიერ. მარმარილოს დაფა ტრიგორსკოეს მფლობელ პ. ა. ოსიპოვას საფლავზე დამტვრეულია; მარმარილოს ჯვარი მისი ვაჟის, პუშკინის მეგობარ ა. ნ. ვულფის საფლავზე დაზიანებულია.

ნაკრძალის ისტორიული ხატება, რომელშიც რუსი ხალხი პუშკინის სახეებს ხედავდა, გერმანელების მიერ ისეა დამახინჯებული, რომ ვეღარ იცნობ.

პუშკინის საფლავის წაბილწვა და სვიატოგორსკის მონასტრის დანგრევა

გერმანელთა მკრეხელობითი დამოკიდებულება რუსი ხალხის ნაციონალურ სიწმინდეთადმი ყველაზე უფრო მკაფიოდ მჟღავნდება პუშკინის საფლავის შებღალვითა და წაბილწვით. წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც ისწრაფვოდნენ ნგრევის საფრთხისაგან დაეცვათ პუშკინის ნაკრძალი, ეს რაიონი უბრძოლველად დასტოვეს და ნოვორჟევისაკენ გადმოვიდნენ. მიუხედავად ამისა, 1941 წლის 2 ივლისს გერმანელებმა დაბომბეს სვიატოგორსკის მონასტერი, რომლის კედლებთანაც არის პუშკინის საფლავი.

1943 წლის მარტში, პუშკინსკიე გორისთან ფრონტის ხაზის მიახლოებამდე დიდი ხნით ადრე, გერმანელები შეუდგნენ მათ მიერ „დაცული" სვიატოგორსკის მონასტრის სისტემატურ ნგრევას. მღვდელ ი. დ. დმიტრიევის მოწმობით, გერმანელებმა ორჯერ ააფეთქეს მონასტრის მთავარი ეკლესია — მიძინების ტაძარი, აგებული XVI საუკუნეში ივანე მრისხანეს ბრძანებით. მეორე აფეთქების შედეგად, ტაძარი, რომლის კედლებთანაც არის პუშკინის საფლავი, დანგრეულია: სამრეკლო ჩამოინგრა, ხოლო ძველისძველი, ორასი წლის დიდი ზარი ქცეულია ნამსხვრევებად, რომლებიც აგურის ნამტვრევებში ჰყრია მთის კალთებზე; ტაძრის გუმბათის ჯვარი მოგლეჯილია; გუმბათის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია ყუმბარით; ეკვდრების სახურავი ჩამონგრეულია. დამწვარი და სავსებით მოსპობილია მონასტრის ნიკოლოზის ეკლესია, საკურთხეველი, ბერების სენაკები, მონასტრის სასტუმრო და სხვა სამონასტრო ნაგებობანი. მონასტრის ჭიშკარი დაზიანებულია არტილერიის ყუმბარით, ხატი დასავლეთ კარიბჭეზე მოგლეჯილია.

უკანდახევისას გერმანელებმა გადასწვეს თითქმის მთელი შენობები რაიონულ ცენტრ პუშკინსკიე გორიში და დაამთავრეს მიძინების ტაძრის მხეცური და უაზრო განადგურება. მის გარშემო ყველაფერი ჩახერგილია აგურისა და რკინის გროვებით, დამტვრეული ფიცრებით; კანკელი ძლიერ დაზიანებულია; კანკელში ყველა ხატი ამოგლეჯილია და იატაკზე ჰყრია; ზოგიერთი ტყვიით არის დაცხრილული. მაგალითად, ხელის იარაღის ტყვიით რამდენიმე ადგილას ახლო მანძილიდან დაცხრილულია პეტრე მოციქულის დიდი ხატი გარეკარზე. ყველგან ჰყრია საეკლესიო მორთულობის ნამტვრევები; იატაკი დაფარულია მღვდელმოქმედების საეკლესიო წიგნებიდან და იმ დოკუმენტების დედნებიდან ამოგლეჯილი ფურცლებით, რომლებიც შუქს ჰფენენ სვიატოგორსკის მონასტრის ისტორიას.

პოეტის საფლავი ძალიან დანაგვიანებული აღმოჩნდა. საფლავში ჩამავალი ორივე კიბე დანგრეულია; მოედანი პუშკინის საფლავის გარშემო სავსეა ნაგვით, ხრეშით, ხატების დაფების ნამსხვრევებით, ფურცლოვანი რკინის ნაჭრებით. პოეტის პაპისა და ბებიის (ოსიპ აბრამის-ძისა და მარიამ ალექსის-ასულ ჰანიბალების) საფლავების ქვები მთლად დაფარულია ნაგვითა და მიწით. წარწერიანი ფირფიტები დამტვრეულია და ნამსხვრევთა გროვაში ჰყრია. რკინის რიკული ძეგლის გარშემო ბევრ ადგილას დაზიანებულია, დაღუნული და შეჭყლეტილია, ლითონის ბუნიკები მის კუთხეებში მოგლეჯილია. მარმარილოს მოაჯირი მოედნის ირგვლივ აგრეთვე დაზიანებულია რამდენიმე ადგილას ყუმბარების ნამსხვრევებითა და ტყვიებით.

თვით ძეგლი გადახრილია აღმოსავლეთისაკენ 10-12 გრადუსით იმის გამო, რომ ბორცვი ჩამოწვა დაბომბვისა და გერმანელების მიერ ჩაწყობილი ფუგასური ბომბების აფეთქების შემდეგ.

1944 წლის თებერვლის ბოლოს პუშკინის ნაკრძალიდან გამოსახლებულ იქნა პუშკინის საფლავის დარაჯიც, ი. ხ. ხარიტონოვი. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ მან მოახერხა მიეღო ერთი დღით პუშკინსკიე გორიში ყოფნის ნებართვა, მან ნახა, რომ ძეგლი პუშკინის საფლავზე ტლანქად და სასწრაფოდ იყო შემოფიცრული. დადგენილია, რომ გერმანელებმა ძეგლი იმ მიზნით შემოფიცრეს, რომ დაეფარათ მისი დანაღმვა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ დროს, როდესაც ყველა რუსი ადამიანი გამოსახლებულ იქნა პუშკინის ნაკრძალის რაიონიდან, გერმანელები ამზადებდნენ პუშკინის საფლავის, სვიატოგორსკის მონასტრისა და თვით იმ ბორცვის აფეთქებას, რომელზეც პოეტის საფლავია.

გზაში, რომელიც მონასტრის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გადის, ჩადებული იყო ფუგასი, რომლის აფეთქებითაც მონასტრის კედელი დანგრეულია 20 მეტრ სიგრძეზე.

უდიდესი ძალის მეორე ფუგასი ჩადებული იყო გზაში აღმოსავლეთის მხრიდან, პუშკინის საფლავის ძირთან: გერმანელებმა გასთხარეს 20 მეტრი სიგრძის გულდასმით შენიღბული სპეციალური გვირაბი, რომელშიც ჩააწყეს სპეციალური ნაღმები და 10 ავიაბომბი თვითეული 120 კილოგრამი წონისა. მისი აფეთქება გერმანელებმა ვერ მოასწრეს წითელი არმიის სწრაფი შეტევის გამო.

ოკუპანტებმა კარგად იცოდნენ, რომ როდესაც წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები პუშკინსკიე გორიში შევიდოდნენ, უწინარეს ყოვლისა პოეტის საფლავს ინახულებდნენ, და ამიტომ გერმანელებმა იგი ხაფანგად გადააქციეს პატრიოტებისათვის. მონასტრის ტერიტორიაზე და მახლობლად მდებარე ადგილებში სმირნოვისა და საჩკოვიუსის ქვეგანაყოფების საბჭოთა მესანგრეებმა სამი ათასამდე ნაღმი აღმოაჩინეს და ამოიღეს.

პუშკინის ნაკრძალის ტერიტორია ძლიერ დანაღმულია. მესანგრეთა მიმავალმა ნაწილებმა ვერ მოასწრეს ყველა ადგილის განნაღმვა და კომისიის იქ ყოფნის დროს გერმანელთა ნაღმებზე ყოველდღე ფეთქდებოდნენ საბჭოთა მოქალაქენი. მაგალითად, არასრული ცნობებით, კომისიამ გაიგო, რომ 26 ივლისს აფეთქდა სამი კაცი — დიმიტრი ანდრეევი, ანატოლი ალექსეევი, ალექსი ვასილიევი; 27 ივლისს აფეთქდნენ — პეტრე მიხაილოვი, პრასკოვია ბოგდანოვა, კლავდია პეტროვა, სერგი ანდრეევი; 28 ივლისს აფეთქდნენ — ევგენი ევსტიუგინი და ივანე პროკოფიევი.

ჰიტლერელ დამრბევთაგან პუშკინის ნაკრძალის დანგრევისა და გაპარტახების დადგენილი ფაქტები წარმოადგენენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების უმაგალითო ბოროტმოქმედებათა ახალ დადასტურებას".

საგანგებო სახელმწიფო კომისია სთვლის, რომ ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა პუშკინის ნაკრძალში ჩაიდინეს, პასუხისმგებელნი არიან — გერმანიის მთავრობა და მისი სამხედრო სარდლობა, აგრეთვე უშუალო შემსრულებლები: კომენდანტი ტრაიბჰოლცი, მაიორი ზანგერი, კაპიტანი ზინგერი, ობერ-ფელდფებელი ფოსფინკელი, ინჟინერი იოსებ ამელი და შილერი.

ყველა ისინი სასტიკად უნდა იქნან დასჯილნი თავიანთ ავაზაკურ დანაშაულთათვის.

ახალი წიგნები საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ

თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის მოხსენება „საბჭოთა სახელმწიფო სამამულო ომში"; ეს მოხსენება წაკითხული იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციის დასკვნით სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა რუსული მეცნიერების როლს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ბროშურა მოგვითხრობს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის წყაროებზე, გადმოგვცემს სახელმწიფოს შესახებ ლენინისა და სტალინის მოძღვრების საფუძვლებს.

ბროშურის ერთ-ერთი კარი მიძღვნილია ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული მოძღვრებისადმი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდში და კომუნიზმის დროს.

* * *

იმავე გამომცემლობამ გამოუშვა ა. გორკინის ბროშურა „ბრძოლებში იწრთობა და მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა".

უკრაინის ხალხის ერთგული შვილი

(ნ. ა. შჩორსის გმირულად დაღუპვის 25 წლისთავისათვის)

1918 წლის თებერვალში გერმანელი იმპერიალისტების ჯარები შემოიჭრნენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებში. უკრაინაში დადგა გერმანელთა ოკუპაციის მძიმე დღეები. დამპყრობლები ძარცვავდნენ და სწვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხვრეტდნენ და ახრჩობდნენ მუშებსა და გლეხებს.

უკრაინელი ხალხი აღსდგა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანელების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა ხერსონში, გამოსვლა მოაწყვეს ნიკოლაევის მუშებმა. დაიწყო გლეხთა აჯანყებანი ვოლინის, ხერსონის, კიევისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში. ყველგან ყალიბდებოდა მუშებისა და გლეხების რაზმები. „უცხოელთა მონობის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთიდან მოდის,—სწერდა ამხანაგი სტალინი,—საბჭოთა უკრაინა აჩაღებს განმათავისუფლებელ სამამულო ომს,—ასეთია იმ მოვლენების აზრი, რაც უკრაინაში ხდება".

უკრაინის ღირსებისა და თავისუფლებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ერთგულმა შვილმა ბოლშევიკმა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე შჩორსმა.

ნიკოლოზ შჩორსი დაიბადა 1895 წელს რკინიგზელი მემანქანის ოჯახში სადგურ სნოვსკზე. მას დედა ადრე გარდაეცვალა. მძიმე ბავშვობამ და სუსტმა ჯანმრთელობამ თავისი კვალი დააჩნიეს ბავშვის ხასიათს. იგი თავშეკავებული იყო, თავის ასაკზე უფროსი სჩანდა. ნიკოლოზი ტოლებში გამოირჩეოდა უფრო მაღალი საერთო განვითარებით, შეუპოვრობითა და ხასიათის სიმტკიცით.

ჭაბუკმა შჩორსმა ქების სიგელით დაამთავრა რკინიგზის სკოლა, შესძლო კიევის სამხედრო-საფერშლო სკოლაში შესვლა და პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისას ჩარიცხულ იქნა ფერშლად იმ დივიზიონში, რომელიც გერმანიის ფრონტზე მიდიოდა. მხოლოდ 1918 წლის იანვარში დაბრუნდა იგი მშობლიურ სნოვსკში. მიუხედავად თავისი 23 წლის ასაკისა, შჩორსი მოხუცი სჩანდა. ომმა იგი ინვალიდად აქცია.

ჯერ კიდევ ფრონტზე გახდა ნიკოლოზ შჩორსი ბოლშევიკი. და როცა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გერმანელთა შემოსევასთან დაკავშირებით გამოაცხადეს—„სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია", ახალგაზრდა ბოლშევიკი ჩადგა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში. მან დაივიწყა ავადმყოფობა, ჭრილობები და დაღლილობა სამწლიანი სასანგრო ცხოვრებისაგან. შეუდრეკელი ნებისყოფით და გამარჯვების რწმენით ჩაება შჩორსი გაჩაღებულ ბრძოლაში.

შჩორსმა ჩამოაყალიბა მცირე რაზმი სნოვსკელ რკინიგზელთაგან, წაიყვანა იგი სემიონოვკაში და შეუერთა ადგილობრივ რაზმს. მებრძოლთა რიგებში ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მტკიცე წესრიგის დანერგვას შეუდგა. „ამას მოითხოვს რევოლუცია", — ამბობდა იგი ჩვეულებრივად.

შჩორსი დიდ ყურადღებას უთმობდა ახლადმოსულ მოხალისეთა შერჩევას. იგი რაზმში იღებდა მხოლოდ საიმედო და მტკიცე ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს ერთგულნი იყვნენ. ასეთებს არ აფრთხობდა მკაცრი რევოლუციური დისციპლინა, პირიქით, ამჭიდროებდა, ადუღაბებდა მათ. მებრძოლებს მხურვალედ უყვარდათ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე და მას „ჩვენს ძია მიკოლას" ეძახდნენ, თუმცა იგი გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე უმეტესი მათგანი.

როცა რაზმი 300 კაცამდე გაიზარდა, შჩორსმა დაიწყო ბრძოლა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ. პარტიზანები გაბედულად ესხმოდნენ თავს მტრის ფლანგებსა და ზურგს, არღვევდნენ მის კომუნიკაციებს და ყოველნაირად აკავებდნენ მათს წინსვლას ჩვენი ქვეყნის სიღრმისაკენ. სამშობლოს დამცველები ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლებში შოულობდნენ იარაღს.

გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლების პირველივე გამოცდილებიდან შჩორსმა შეიმუშავა მტკიცე რწმენა, რომ საჭირო იყო პარტიზანთა რაზმების გაერთიანება საერთო სარდლობისა და ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა მოსკოვში მისი ჩასვლისა და ლენინთან შეხვედრის შემდეგ. იგი უკვე ადგენდა პარტიზანთა რაზმებისაგან წითელი არმიის რეგულარული ნაწილების შექმნის გეგმებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე ხანმოკლე ყოფნის შემდეგ შჩორსი 1918 წლის ზაფხულის მიწურულში კვლავ ჩავიდა უკრაინაში. აქ, ნეიტრალურ ზონაში, რომელიც ჰყოფდა ოკუპირებულ უკრაინას საბჭოთა რუსეთისაგან, იგი შეუდგა წითელი არმიის რეგულარული ნაწილების ჩამოყალიბებას. აქ მასთან ჯგუფებად და ცალცალკე მიდიოდნენ ჩერნიგოვშჩინის, პოლტავშჩინის, კიევშჩინის პარტიზანები.

სექტემბერში შეიქმნა უკრაინის აჯანყებულთა 1-ლი საბჭოთა პოლკი ბოგუნის სახელობისა.



ნ. შჩორსი მოხსენებას უკეთებს ვ. ი. ლენინს.

მხატვ. ვასილიევის სურათიდან.

შჩორსმა—ამ პოლკის მეთაურმა—მეტად ბევრი ძალღონე მოახმარა წითელარმიელთა მომზადებას. პოლკში რეგულარულად ტარდებოდა სამწყობრო და ტაქტიკური მეცადინეობა.

ამავე დროს მყარდებოდა კავშირი დაქსაქსულ პარტიზანულ რაზმებთან, რომლებიც უკრაინაში მოქმედებდნენ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე იყენებდა მეფუტკრეთა აღალებს, რომლებიც ჩერნიგოვშჩინაში სოფელ-სოფელ დადიოდნენ, უგზავნიდა პარტიზანებს იარაღს, საომარ მასალას, ლიტერატურას და აჯანყების ორგანიზატორებსაც კი. მეზობლად, ნეიტრალურ ზოლში ყალიბდებოდა ტარაშჩანსკისა და ნოვგოროდ-სევერსკის აჯანყებულთა პოლკები.

გერმანელთა ჯარები ვერ ბედავდნენ შებმას ბოგუნის სახელობის პოლკთან. ოკუპანტები ფაქტიურად გარშემორტყმული იყვნენ ფრონტიდან ბოგუნელთა მიერ, ზურგიდან — შჩორსთან დაკავშირებული პარტიზანთა მრავალრიცხოვანი რაზმების მიერ, და ისინი თავს მტკიცედ ვერ გრძნობდნენ.

შჩორსი აღგზნებული იყო მოუთმენლობით —დაერტყა გერმანელებისათვის, ბრძანება შეტევის შესახებ კი ჯერ არ სჩანდა. სინამდვილეში, როგორც ეს შემდეგ გამოირკვა, სახკომსაბჭომ ლენინის თავმჯდომარეობით დროზე მისცა დირექტივა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაეწყოთ შეტევა უკრაინაში უკრაინელი მუშებისა და გლეხებისადმი დახმარების გასაწევად მათ ბრძოლაში ოკუპანტების წინააღმდეგ. მაგრამ მოღალატე ტროცკი უგულებელჰყოფდა ლენინის დირექტივას. კიდევ მეტი, მას განზრახვა ჰქონდა აღმოსავლეთში გადაესროლა ნეიტრალურ ზონაში ჩამოყალიბებული წითელი არმიის ნაწილები. სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად ამხანაგ სტალინის დანიშვნამ აღკვეთა მტრის ეს განზრახვა. აჯანყებულ უკრაინელთა დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნა ცარიცინის დაცვის მონაწილეთა ჯგუფი.

ნოემბრის დამლევს, ამხანაგ სტალინის ბრძანებით, შჩორსი თავის ბოგუნელებთან ერთად შეტევაზე გადავიდა კიევის ასაღებად. 1919 წლის 5 თებერვალს კიევი აღებულ იქნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბოგუნისა და ტარაშჩანსკის პოლკებიდან შეიქმნა უკრაინის 1-ლი დივიზია. შჩორსის მეთაურობით მან ძლევამოსილი ბრძოლებით განვლო თვით გალიციის საზღვრებამდე.

ამ ხანებში უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს უხდებოდა არა მარტო წითელი არმიის მეთაურის როლის, არამედ განთავისუფლებულ მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორის როლის შესრულებაც. იგი ამოწმებდა რევკომების შემადგენლობას, ეხმარებოდა მათ მუშაობის მოწესრიგებაში, დაუღალავად ზრუნავდა ხელისუფლების ორგანოების განმტკიცებისათვის.

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე, ენერგიული, მუდამ ხალისიანი და მტკიცე, შეუპოვრად ებრძოდა სენს, რომელიც საბრძოლო ცხოვრების მძიმე პირობებში სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. მაგრამ ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით იგი სძლევდა ავადმყოფობას. იგი ხუმრობდა და იცინოდა წითელარმიელებთან, უნერგავდა მათ სიმხნევეს და საბოლოო გამარჯვების რწმენას.

შჩორსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკურ ბეჭდვითს სიტყვას. მან შექმნა დივიზიის გაზეთი „კრასნაია პრავდა", ხშირად თვითონ აგროვებდა მისთვის მასალას და ეხმარებოდა გაზეთის შეკვრაში. „დივიზია უნდა იცნობდეს თავის გმირებს", — ამბობდა იგი და მოითხოვდა, რომ გაზეთში საპატიო ადგილი ჰქონოდა დათმობილი საბრძოლო გმირობის აღწერას.

შჩორსი იყო არა მარტო ნიჭიერი მეთაური, არამედ შესანიშნავი აღმზრდელიც. კომუნისტები იყვნენ მისი მთავარი დასაყრდენი. „მხვრეტილ კაპიკად არ ღირს ის მეთაური კომუნისტი, რომელსაც არ შეუძლია აღზარდოს თავისი მებრძოლები კომუნისტური სულისკვეთებით", — ამბობდა ჩვეულებრივად ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე. დივიზიასთან მან შექმნა წითელ მეთაურთა სკოლა, რომლის სახელი მთელ ფრონტს მოეფინა.

1919 წლის აგვისტოში მდგომარეობა უკრაინაში მკვეთრად შეიცვალა. ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში თეთრგვარდიელი პოლონელები შემოიჭრნენ. შეტევაზე გადმოვიდა პეტლიურაც, რომელმაც აღადგინა თავისი ნაწილები. პეტლიურელები ცდილობდნენ შემოევლოთ შჩორსის დივიზიის მარცხენა ფლანგისათვის, გაჭრილიყვნენ დნეპრისაკენ და შეერთებოდნენ დენიკინელებს, რომლებიც კიევს აღმოსავლეთიდან უტევდნენ.

შჩორსის პოლკები, მოქანცულნი განუწყვეტელ ბრძოლებში, დიდი ხნით მოუმარაგებელნი, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მოწოლის შედეგად უკან იხევდნენ კოროსტენისაკენ, საითკენაც იხევდნენ წითელი არმიის სხვა დაქსაქსული ნაწილებიც. კოროსტენთან ისინი ყველანი გაერთიანდნენ 44-ე დივიზიაში შჩორსის სარდლობით.

30 აგვისტოს მდგომარეობა ამ დივიზიის ფრონტზე უკიდურესობამდე გამწვავდა. წყდებოდა კიევის ბედი. პეტლიურელები იმუქრებოდნენ კიევ-კოროსტენის რკინიგზის გადაჭრით, რომელიც გათვალისწინებული იყო უკრაინის დედაქალაქის ევაკუაციისათვის. დღის მეორე ნახევარში შჩორსი მივიდა ფრონტის ყველაზე უფრო სახიფათო უბანზე. მიუხედავად არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა ძლიერი ცეცხლისა, მეთაური, რომელიც არასოდეს არ ერიდებოდა საფრთხეს, გავიდა მოწინავე პოზიციებზე და აქ განგმირულ შეიქნა მტრის ტყვიით.

დივიზიის უფროსის სიკვდილი რომ შეიტყეს, მებრძოლები წინ გაიჭრნენ და გადასთელეს პეტლიურელები. შჩორსის დივიზიამ დაიცვა კოროსტენის პლაცდარმი, გაარღვია ჟიტომირთან მტრის გარემოცვა და თვითონ გადავიდა შეტევაზე დენიკინის წინააღმდეგ.

* * *

უკრაინელი ხალხის მამაცი შვილის შჩორსის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა პატრიოტების გულში. ამხანაგმა სტალინმა მას „უკრაინელი ჩაპაევი" უწოდა. ქალაქ კოროსტენის ცენტრალურ მოედანზე მას ძეგლი აუგეს.

1941 წლის შემოდგომაზე, შჩორსის დაღუპვიდან 22 წლის შემდეგ, გერმანელებმა კვლავ მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია და ფიქრობდნენ აქ სამუდამოდ დარჩენას. მაგრამ გერმანელები ამჯერადაც მოსტყუვდნენ. წითელი არმიის გმირი მეომრები სდევნიან დამპყრობლებს მშობლიური მიწა-წყლიდან. საბჭოთა ხალხის ლეგენდარული შვილის მიკოლა შჩორსის სახე აღაფრთოვანებს ჩვენს მებრძოლებს ახალ გმირობათა ჩასადენად სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

ფაშისტმა ოკუპანტებმა დაანგრიეს კოროსტენი, მაგრამ გაივლის მცირე ხანი, და ქალაქი აღდგენილი იქნება. საუკეთესო მოედანზე კვლავ აღიმართება შჩორსის მონუმენტი, როგორც სიმბოლო თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის მამაცობისა, ღირსებისა და საბრძოლო დიდებისა.

ვ. გორბუნოვა

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი

28 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის V პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ა. ხუჯაძის მოხსენება ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებში მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ.

რაიონის საწარმოთა უმრავლესობამ კარგად ჩაატარა საგაზაფხულო ხვნა-თესვა და ნათესების დამუშავება. შედეგიც კარგია: მოვიდა უხვი მოსავალი. ორგანიზებულად დაიწყო მოსავლის აღება მთელ რიგ დამხმარე მეურნეობებში. მაგალითად, ავტოსარემონტო ქარხნის მეურნეობამ ქარხნის სასადილოს უკვე ჩააბარა 3.370 კილოგრამი პამიდორი, 1.870 კილოგრამი კიტრი, 4.337 კილოგრამი კომბოსტო, 2.003 კილოგრამი საზამთრო და 5.689 კილოგრამი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. რკინიგზის მუშათა მომარაგების რაიონული განყოფილების დამხმარე მეურნეობაში უკვე აღებულია და სასადილოს გადაეცა 212,25 ცენტნერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მათ შორის 25,5 ცენტნერი პამიდორი, 47,6 ცენტნერი მწვანე ლობიო, 135,3 ცენტნერი კიტრი. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას 15 აგვისტოსათვის დამხმარე მეურნეობაში აღებული ჰქონდა 101,5 ცენტნერი კომბოსტო, 22,1 ცენტნერი პამიდორი, 10 ცენტნერი ხახვი, 20,3 ცენტნერი ბოსტნეული. მოსავლის აღება კარგად მიმდინარეობს აგრეთვე კიროვის ქარხნის და საორთქლმავლო დეპოს დამხმარე მეურნეობებში.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ რაიონის მთელ რიგ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დამხმარე მეურნეობების მოწყობა მთლიანად მიანდეს მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და დამხმარე მეურნეობათა უფროსებს. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა „ცენტროლიტის" ქარხნის, სატრიკოტაჟო კომბინატის, მეოთხე და მეხუთე სავაგონე უბნების, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ელექტროტექნიკური ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებს და სამეურნეო ხელმძღვანელებს. ამ საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში საშუალო მოსავლიანობა დაბალია, ზოგან კი დახარჯული თესლიც ვერ აანაზღაურეს.

— ახლა ჩვენი დამხმარე მეურნეობები, — განაცხადა ამხ. ხუჯაძემ, — დგანან პასუხსაგები პერიოდის წინაშე, როდესაც იწყება მოსავლის მასობრივი აღება. საჭიროა შრომის სწორი ორგანიზაცია, რომ მოსავალი ავილოთ სწრაფად და უდანაკარგოდ. უნდა მოვიმარაგოთ საჭირო ინვენტარი, წინასწარ მოვამზადოთ საწყობები მოსავლის შესანახად და აღების პერიოდში და შემდეგ უზრუნველვყოთ მოსავლის დაცვა.

მომხსენებელმა გააკრიტიკა რაიონის მთელი რიგი ორგანიზაციები (ავტოსარემონტო ქარხანა, კიროვის ქარხანა, საორთქლმავლო დეპო და სხვ.), რომლებიც მაინც და მაინც თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ მოიმარაგონ ტარა და მოსავლის ასაღები ინვენტარი, მოამზადონ საწყობები, უზრუნველჰყონ მოსავლის დაცვა.

ამხ. ხუჯაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. სულაძე (ავტოსარემონტო ქარხანა), დვალიძე (რკინიგზის მესამე რაიონის პროფკავშირი), ჯიქია (თბილისის სატვირთო სადგური), სიხარულიძე (ქარხანა „ცენტროლიტი"), კაშია (ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დამხმარე მეურნეობა), ნადირაშვილი (საორთქლმავლო დეპოს მუშათა მომარაგების განყოფილება), ნუქნიაკოვი (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), ჭიჭინაძე (ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა).

1944 წლის 20 მაისიდან 19 აგვისტომდე პარტიაში მიღების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ტოგონიძემ. საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა 207 კომუნისტით. პარტიაში მიღებულთა 52,1 პროცენტს მუშები შეადგენენ. ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის ზუსტად დაცვით, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის შედეგად პარტიაში მიღება კარგად მოაწყეს საორთქლმავლო დეპოს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, ქარხანა „ცენტროლიტის", კიროვის ქარხნის, ორთქლმავალშემკეთებელ ქარხნის მშენებლობის, მეოთხე სავაგონო უბნისა და ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა. პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე, რომ რაიონის 21 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგებში არ მიუღია არც ერთი ამხანაგი (სარემონტო-მექანიკური ქარხანა, მექანიკურ-სამონტაჟო სახელოსნო, საშტემპელო-საგრავიორო ფაბრიკა, არტელი „ფანერა" და სხვ.). სუსტად მუშაობენ ამ მხრივ აგრეთვე სატრიკოტაჟო კომბინატის, ავტოსარემონტო ქარხნისა და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციები.

ამხ. ტოგონიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ოთხმა ამხანაგმა.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელიძემ და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში ამხ. ა. ნუქნიაკოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება სტახანოველებს—შრომის ფრონტის დაუღალავ მებრძოლებს!

პირველი ქართველი სტახანოველები და მათი მოწაფენი

1935 წლის აგვისტოს მიწურულში ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში მუშაობისას 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და ამით დასაწყისი მისცა დიად მოძრაობას, რომელიც მოწოდებული იყო მთელი რევოლუცია მოეხდინა ჩვენს მრეწველობაში. სტახანოვური მოძრაობა ელვის სისწრაფით გავრცელდა. მალე საქართველოშიც გამოჩნდნენ პირველი სტახანოველები.

ჭიათურაში მარგანეცის მნგრეველმა ვასო სამხარაძემ, სტახანოვის ამ პირველი მიღწევიდან რაღაც ექვსიოდე კვირის შემდეგ—1935 წლის 14 ოქტომბერს, ერთ ცვლაში, ნაცვლად 9 ტონა მადნისა 51 ტონა მარგანეცი მოანგრია და ცვლის გეგმა 554 პროცენტით შეასრულა. სამხარაძეს ჭიათურაში მაშინვე ბლომად აღმოუჩნდნენ მიმბაძველნი.

თბილისში, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მჭედელმა დავით ჰიჰინაძემ, ამჟამად ამავე ქარხნის ხელმძღვანელმა, ხალხის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულმა, წევის დარგის მესამე რანგის გენერალ-დირექტორმა, იმავე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ერთ ცვლაში მუშაობისას ნაცვლად 9 ცალისა 14 ცალი რვილი დაამზადა და იმ ხანებში დამყარებულ საკავშირო რეკორდს 5 ერთეულით გადააჭარბა.

ასეთივე შესანიშნავი მიღწევები მოგვცეს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ამხ. ი. ზაკომოლდინმა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ზეინკალმა გ. ყველაშვილმა, სპილენძსატკეც ქარხანაში მ. ახობაძემ. მათ გაიყოლიეს საწარმოთა მოწინავე ადამიანები, ახლის მაძიებლები, წარმოების ნოვატორები. დავით ჰიჰინაძის გვერდით მომუშავე მჭედელმა ქ. ილურიძემ ამხანაგს რამდენიმე დღის შემდეგ წინ გაუსწრო. ჰიჰინაძე ამ ამბავმა გაახარა, თან ახალი მიღწევის მოპოვების სურვილი აღუძრა. და მართლაც, მეორე დღესვე დავით ჰიჰინაძემ ისევ დაიბრუნა პირველობა. აქ გამოჩნდა მიხეილ გეწაძე—ორთქლმავლის ქვაბების ოსტატი, რომელმაც თავის დარგში მანამდე უნახავი მიღწევა მოგვცა: მინდობილი სამუშაო ერთ დღეში 295 პროცენტით შეასრულა.

ასე გრიგალისებრი სისწრაფით ვითარდებოდა ჩვენში ჩასახვის პირველი კვირეებიდანვე სტახანოვური მოძრაობა.

როდესაც დაჰკრა განსაცდელის ზარმა, როდესაც 1941 წლის ივნისის ერთ დილას თავით-ფეხამდე შეიარაღებული დამპყრობთა ურდოები ავაზაკურად შემოიჭრნენ ჩვენი მშვენიერი საბჭოთა სამშობლოს მიწა-წყალზე,—საბჭოთა ქვეყნის სტახანოველთა უთვალავი არმიის წინაშე ახალი უდიდესი ამოცანები წამოიჭრა. და უნდა ითქვას, რომ ეს არმია თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

— ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!— ეს ლოზუნგი გახდა მათი ყოველდღიური სამოქმედო პროგრამა. ათასობით და ათეულ ათასობით სტახანოველები გაასკეცებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას, ტექნოლოგიური პროცესების გამარტივებასა და გაუმჯობესებას, ახლის ძიებას საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად, ახალი ტექნიკური საშუალებების გამონახვას, რათა ფრონტისათვის მიეცათ მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, ფართოდ გამოეყენებინათ ადგილობრივი რესურსები, მეტი მომჭირნეობა გაეწიათ ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვაში, დაენერგათ სოციალისტური შრომის ახალი მეთოდები—მრავალდაზგოსნობა, ნაკადური სისტემით მუშაობა, პროფესიათა შეთავსება და ა. შ. საჭირო იყო ახალი სახისა და დანიშნულების პროდუქციის სწრაფი ტემპებით ათვისება, საჭირო იყო კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი კადრების მომზადება.

ათასობით ახალგაზრდა მუშა-სტახანოველები, რომლებიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში აღიზარდნენ, ახლა შრომის ფრონტის სახელმოხვეჭილი ადამიანები არიან. მათი სახელები ამშვენებენ საპატიო დაფებს და „დიდების წიგნის“ ფურცლებს. ასეთები არიან ჩვენი ნაცადი პირველი სტახანოველების მოწაფეები—სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდა ზეინკლები დ. სულავა, ა. ფხაკაძე, ბ. შვანგირაძე და ვ. ბაბუნაშვილი, რომლებიც ახლა თვითეული სამი კაცის სამუშაოს ასრულებს ყოველდღიურად. ასეთები არიან თბილისის საორთქლმავლო დეპოს სახელოვანი სტახანოველი დ. ჭავჭანიძე, ზეინკალი ვ. კიკნაძე, მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მკერავი კომკავშირელი გრ. ტაბიძე, მეავტომატე ზეინკალი ციალა მარხუაშვილი და მრავალი სხვა ახალგაზრდა.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს ჩვენმა მოწინავე სტახანოველებმა რაციონალიზაციის დარგში. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის შემდუღებელმა ლენინის ორდენოსანმა ზ. ნადირაძემ სამამულო ომის პერიოდში ძვირფასი სიახლე შეიტანა თუჯის შედუღების ტექნოლოგიაში. მან გამონახა ამ ლითონის შედუღების ახალი მეთოდი, რომელიც აიაფებს მზა პროდუქციას და იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალ საშუალებებს. ნადირაძის ამ მეთოდით ხდება ახლა თუჯის შედუღება საბჭოთა კავშირის მრავალ საწარმოში.

„დედა-სამშობლოსადმი და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი საწარმოო საჩუქრების წიგნში“ ჩაწერილია გვარები ამ ქარხნის მრავალი საამაყო ადამიანისა: ზეინკლების ს. ბაბაევის, ვ. ბექუაშვილის, მ. ამირანაშვილის, ხარატების—შ. ზაალიშვილის, ი. ჭუმბურიძის და სხვ. ომის დღეებში მათ წარმატებით აითვისეს ახალი სახისა და დანიშნულების პროდუქციის გამოშვება და უზრუნველჰყვეს მრავალი სახელწოდების სხვადასხვა საპასუხისმგებლო დეტალის მასობრივად დამზადება.

საქართველოს ყოველ ინდუსტრიულ საწარმოში, ყოველ შახტში სამშენებლო სამუშაოზე არიან და დაუღალავი მაღალნაყოფიერი შრომით წითელ არმიას მტერზე გამარჯვების მოპოვებაში ეხმარებიან ჩვენი სახელოვანი სტახანოველები და მათი მოწაფეები. ტყიბულელი სემივოლოსელის ბიძინა თოდიძის გვერდით არანაკლებ წარმატებით იბრძვის ახალგაზრდა მნგრეველი სპირიდონ ლანჩავა, ტყვარჩელელი მნგრეველი გრ. სტურუა მხარს უმშვენებს თავის მასწავლებელს ი. სპიჩაკს, მრავალდაზგოსან მქსოველს ლიუდმილა ასათიანს გულწრფელად ახარებს თავისი ახალგაზრდა მოწაფეების წარმატებები.

ჩვენი სტახანოველების, წითელი არმიის ამ ერთგული თანაშემწეების, ბარაქიანი შრომის ნაყოფია, რომ ფრონტისაკენ უხვად მიედინება ყოველივე, რაც საჭიროა საზიზღარი მტრის მოახლოებული აღსასრულის დასაჩქარებლად.

ა. ნინუა

საოქტომბრო ვალდებულებანი

სამტრედია („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავის აღსანიშნავად სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივი ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებს დედა-სამშობლოს. აგვისტოს 20 დღის საწარმოო დავალება კომბინატის კოლექტივმა 130 პროცენტით შეასრულა. მოწინავე სტახანოველები ეთერ კიკაჩეიშვილი, მარო აბზიანიძე, ნუცა ხუჭუა, თამარ შუბლაძე, პეტრე ბროვკინი საწარმოო დავალებებს 200-350 პროცენტით ასრულებენ. სახელგანთქმულმა მეკასრემ გიორგი დიდეშელმა, რომელიც ყოველდღიურ გეგმებს ოთხჯერ-ხუთჯერ აჭარბებს, 25 აგვისტოს დღიური დავალება 701 პროცენტით შეასრულა.

სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა გადასწყვიტა ამთავითვე გააჩაღოს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. თავის მხრივ სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მუშებმა იკისრეს: წლიური გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის, ხოლო გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე გამოუშვან 300.000 ქილა კონსერვი; 1 ოქტომბრისათვის შეასრულონ დამზადებათა გეგმები და ქვეყანას მისცენ 2.320 ტონა ბოსტნეული, 200 ტონა კურკოვანი და 130 ტონა თესლოვანი საკონსერვო ხილეული.

გ. სიხარულიძე

მეტი მეტალური მარგანეცი სამშობლოს

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს კოლექტივი, რომელმაც საბჭოთა კავშირში პირველმა აითვისა მეტალური მარგანეცის მიღება, თავდადებულად მუშაობს. საამქრო ყოველთვიურად ადიდებს უმაღლესი ხარისხის ლითონის გამოშვებას.

მიმდინარე წლის უკანასკნელ ხუთ თვეში გამოშვებულ იქნა იმდენი ლითონი, რამდენიც გამოშვებული იყო შარშან მთელი წლის განმავლობაში. ამავე დროს მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. 1942 წელთან შედარებით, ტონა ლითონის მიღება 2,5-ჯერ იაფი ჯდება. მიმდინარე წელს საამქრომ ქვეყანას 1.190.000 მანეთის დაგროვება მისცა.

აგვისტოში განსაკუთრებით კარგად მუშაობს ცვლა, რომელსაც ეთერი უნგიაძე ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ 15 დღეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 23.000 მანეთის ლითონი. წარმატებით მუშაობს აგრეთვე ცვლა, რომელსაც ნინო დათაშვილი ხელმძღვანელობს.

პ. ჭიოკაძე



თბილისი. ელექტროდეპო. **სურათზე:** კომკავშირული ელმავლის ბრიგადა, რომელმაც მოიპოვა დეპოს გარდამავალი წითელი დროშა (მარცხნიდან მარჯვნივ): ი. კახიშვილი, გ. ქიმერიძე, ვ. მასლოვსკი, რ. ამირაგოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სემივოლოსელები

— მეტი ქვანახშირი ფრონტისათვის! — აი ტყიბულელ მეშახტეთა საბრძოლო ლოზუნგი სამამულო ომის პირველი დღიდანვე.

დრო გმირულ შრომაში მიდიოდა...

ერთი წლის წინათ, 1943 წლის 7 აგვისტოს, ექვს სანგრევში ალექსი სემივოლოსის მეთოდით მუშაობას შეუდგა პირველი ტყიბულელი სემივოლოსელი ამხ. ბიძინა თოდიძე.

იმ დღეს სამშობლოს პატრიოტმა ორი ციკლი მოასწრო და 11,6 მეტრით წასწია წინ სანგრევი ხაზი. ეს სერიოზული გამარჯვება იყო. შემდეგ მან ყოველდღიურად 4-6 სანგრევში იწყო მუშაობა, აგვისტოს ნორმა 480 პროცენტით შეასრულა და 5,976 მანეთი გამოიმუშავა.

ასე ჩაუყარა საფუძველი სახელოვანმა მეშახტემ საქართველოს ქვანახშირის მაღაროებში სემივოლოსურ მოძრაობას.

ბიძინა თოდიძის მაგალითს ბევრმა მიჰბაძა. მისი პირველი მოწაფე იყო ახალგაზრდა მნგრეველი სპირიდონ ლანჩავა, რომელმაც პირველ დღეს 6 სანგრევში მუშაობით გეგმა 575 პროცენტით შეასრულა.

ტყიბულის შახტების ყველა უბანში დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ახალ ინიციატივას. სემივოლოსელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. შ. ფურცხვანიძემ, ა. ქათამაძემ, ს. ლაფერაძემ, ს. ქათამაძემ, ი. ცქიფურიშვილმა და სხვებმა 4-5 სანგრევში იწყეს მუშაობა და ყოველდღიურად 3-4 დღის ნორმას ასრულებდნენ. ამის შედეგად გასული წლის 19 აგვისტოს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა პირველად შეასრულა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალება. ტყიბულელებმა მიღწეული წარმატება კიდევ უფრო განამტკიცეს და 1943 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ტრესტი ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ ტონა ქვანახშირს იძლეოდა გეგმის გადამეტებით.

შარშან ბიძინა თოდიძემ 6 თვის განმავლობაში 2 წლის გეგმა შეასრულა. ამავე ხნის განმავლობაში 10-15 თვის გეგმა შეასრულეს სემივოლოსელმა ს. ქათამაძემ, ს. ლაფერაძემ, შ. ფურცხვანიძემ და სხვებმა.

ტყიბულში ახლა დიდი ყურადღება ექცევა სემივოლოსური მეთოდით მუშაობის პოპულარიზაციას.

ჩაებნენ რა პროფესიათა მიხედვით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ტყიბულელი სემივოლოსელები ენერგიულად მუშაობენ 1944 წელსაც. ბ. თოდიძემ უკვე კარგი ხანია დაამთავრა 1944 წლის გეგმის შესრულება. 1944 წლის გეგმა უკვე შეასრულეს აგრეთვე ს. ლანჩავამ, ი. ცქიფურიშვილმა და ლ. ცქიფურიშვილმა.

სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავის აღსანიშნავად ტყიბულელი სემივოლოსელები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. აგვისტოს გეგმა ბიძინა თოდიძემ და სიმონ ლაფერაძემ 5 დღეში შეასრულეს. სემივოლოსელები თ. ნანიკაშვილი, ა. ქათამაძე, ს. ლაფერაძე და სხვ. ყოველდღიურათ ოთხ-ხუთ ნორმას ასრულებენ. მათი სტახანოვური, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად სტალინის სახელობის შახტის მერვე საექსპლოატაციო უბანი 55-60 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს მოსამზადებელი სამუშაოების გეგმებს.

მედალოსანმა მნგრეველმა შ. კახაძემ 25 დღეში შეასრულა ორი თვის გეგმა და ამის გადამეტებით 600-მდე ტონა ქვანახშირი ამოიღო. 40-50 ტონა ქვანახშირს იღებენ ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით მეშახტეები ნ. კრასნოგოლოვეცი, ა. ქათამაძე, შ. ფურცხვანიძე და სხვ.

ლენინის სახელობის მაღაროში აგვისტოში დიდი წარმატებით მუშაობენ სემივოლოსელების გ. ფანჩულიძისა და ლ. ვაშაკიძის უბნები.

ტყიბულის შახტებში ამჟამად 60-მდე მნგრეველია, რომლებიც საუკეთესოდ არიან დაუფლებულნი როგორც მრავალ სანგრევში, ისე ლავაში მუშაობას.

მათი მაღალნაყოფიერი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ასე უხვად მიედინება ტყიბულის ქვანახშირი სარკინიგზო ეშელონებით.

დ. ქათამაძე

საყოველთაო პატივისცემით მოსილნი

(26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა)

ამ ქარხანაში სტალინური ხუთწლედების მანძილზე სოციალისტური შრომის ბევრი საამაყო წარმომადგენელი გაიზარდა. მათ საყოველთაო პატივისცემა მოიპოვეს თავდადებული და მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომით. სამამულო ომის წლებში მანქანათმშენებლებმა ერთიორად გაამრავლეს თავიანთი შრომითი მიღწევები, ერთმა დაიკავა სამი, ოთხი და ხშირად რვა-ათი კაცის ადგილი.

ბევრი, ამჟამად სახელოვანი ოსტატი ქარხანაში მოსულია სამამულო ომის დროს, მაგრამ მათ ახლა იცნობს და დიდი პატივისცემით ეპყრობა მთელი კოლექტივი.

ახალგაზრდა სტახანოველია ელგუჯა ხიზანიშვილი. იგი, 16 წლის კომკავშირელი, სამამულო ომის დღეებში მოვიდა ქარხანაში, მოკლე ხანში შეისწავლა ზეინკლობა, სრულყოფილად დაეუფლა ამ პროფესიას და დღეს ერთ-ერთ საუკეთესო მანქანათმშენებლად ითვლება, ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 800-900 პროცენტით და ხშირად 1.000 პროცენტით ასრულებს. ელგუჯა ამ ქარხნის ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდა სტახანოველია, რომელმაც იკისრა სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავზე ახალი საწარმოო საჩუქრები უძღვნას დედა-სამშობლოს. 15 აგვისტოს ელგუჯა ხიზანიშვილმა დღიური საწარმოო დავალება 1.950 პროცენტით შეასრულა, 16 აგვისტოს—1.200 პროცენტით და ასეთი მაჩვენებლებით განაგრძობს მუშაობას დღემდე. არანაკლებ ათასი პროცენტისა — ასეთია მისი სადღეისო ლოზუნგი.

შესანიშნავი ხარატი გახდა კომკავშირელი გოგონა ნუნუ ალავიძე. იგიც სამამულო ომის დღეებში მოვიდა ქარხანაში, სულით და გულით დაეწაფა ხარატის პროფესიას და დაეუფლა მას. დღეს ნუნუ ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო სტახანოველია, ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს სისტემატურად 350-400 პროცენტით ასრულებს.

ასეთი სახელოვანი ახალგაზრდა სტახანოველები აქ ბევრია. მათი სახელები ამშვენებენ საამქროებში მოწყობილ საპატიო დაფებს. ისინი აღზარდეს და გმირული, მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ ოსტატად გამოიყვანეს უფროსმა სტახანოველმა — მანქანათმშენებლებმა მჭედელმა ვ. კორძაძემ, ზეინკალმა გ. ყველაშვილმა, ხარატმა შ. წამალაშვილმა და სხვ. სწორედ ესენი არიან სტახანოვური მოძრაობის პირველი წამომწყებნი ამ ქარხანაში.

ქარხანას ჰყავს შესანიშნავი რაციონალიზატორები. მირდათ აკოფოვმა, თავისი საქმის შესანიშნავმა მცოდნემ, მაღალკვალიფიციურმა ხარატმა გამონახა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალის მექანიკურად დამზადების ხერხი. უწინ ამ დეტალს ხელით აკეთებდნენ. ეს დიდ დროს და ბევრ ხარჯს მოითხოვდა. აკოფოვის გამოგონებამ მარტო ერთ კვარტალში ქარხანას 22.000 მანეთის ეკონომია მისცა. 120-მდე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია ამ ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. ა. ბაღდასაროვი. მისმა მარტო ერთმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ შარშან ქარხანას 25.000 მანეთი შესძინა. ბაღდასაროვმა ამ ქარხანაში მუშაობის განმავლობაში 300 კვალიფიციური მუშა აღუზარდა წარმოებას.

ქარხანაში მომუშავე ათასოვან სტახანოველთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს მეყალიბე ივანე მირზოევს. მან 1943 წლის საწარმოო დავალება ვადაზე 5 დღით ადრე — 25 დეკემბრისათვის 1.000 პროცენტით შეასრულა. წელს კიდევ უკეთეს წარმატებებს აღწევს. იგი ატარებს ქარხნის საუკეთესო მეყალიბის სახელს და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს სისტემატურად 1.100—1.300 პროცენტით ასრულებს.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. კოლექტივის ამ საერთო წარმატების ბურჯები არიან სტახანოველები, რომლებმაც უმოკლეს ვადაში აითვისეს 40 სხვადასხვა სახელწოდების რთული დეტალის მასობრივი გამოშვება. ამ სტახანოველთა, წარმოების ამ ნოვატორთა შემოქმედებითი უნარის შედეგია, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებამ ქარხანას 512.000 მანეთის ეკონომია მისცა.

ასეთია მანქანათმშენებელთა სტახანოვური საქმეები.

ლ. სარჯველაძე

ხაჯერ კაკაბაძე

მთელს რესპუბლიკაში მოიხვეჭა სახელი ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ხაჯერ კაკაბაძემ როგორც ჩაის ფოთლის კრეფის შესანიშნავმა ოსტატმა. ამხ. კაკაბაძეს თავდადებული სტახანოვური შრომით თავისი წვლილი შეაქვს ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

დიდი სამამულო ომის დღეებში ახალგაზრდა გოგონა დაუშრეტელი ენერგიით მუშაობს, რომ მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი მისცეს სამშობლოს. მისი შრომა ღირსეულად დაფასდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით ამხ. ხაჯერ კაკაბაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. უმაღლესი ჯილდოს პასუხად იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა წელს ჩაის კრეფის მთელს სეზონში მოჰკრიფოს 20.000 კილოგრამი ფოთოლი. ეს ვალდებულება სერიოზულია, მაგრამ კაკაბაძე წარმატებით ასრულებს მას. აღფრთოვანებული დიდი სტალინის ისტორიული ბრძანებებითა და გმირი წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებებით, აჭარელი კოლმეურნე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს შრომის ფრონტზე.

ამხ. ხაჯერი დღეში საშუალოდ 150-200 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს. 22 აგვისტოს მან ახალ წარმატებას მიაღწია, ამ დღეს 4.882 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. აღსანიშნავია, რომ აქედან პირველი ხარისხისა იყო 3.563 კილოგრამი. ერთ დღეს 6.900 მანეთი გამოიმუშავა და ეს თანხა ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტმა თავდაცვის ფონდში შეიტანა.

ამხ. კაკაბაძე სოფლის მეურნეობის ნამდვილი ნოვატორია. რატომ არის, რომ ის ასეთ წარმატებებს აღწევს?

იმიტომ, რომ საუკეთესოდ უვლის მასზე მიმაგრებულ ჩაის პლანტაციას, გამრჯე ხელს არ აკლებს ჩაის თვითეულ ბუჩქს, პლანტაციაში ვერ იპოვნით სარეველა ბალახებს. მან

აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა საზამთრო გადაბარვა, თავის დროზე შეიტანა სასუქი და ამის შედეგად ჩაის ფოთოლიც უხვად შემოვიდა.

ჩაის ფოთოლს ხაჯერი ორივე ხელით ჰკრეფს, საკრეფი კალათი წელზე აქვს დამაგრებული. ჩაის ფოთლის კრეფისას განუხრელად იცავს აგროტექნიკურ წესებს. სახელდობრ, ყოველდღიურად შემოუვლის ხოლმე ჩაის ბუჩქებს, ფოთოლს ჰკრეფს მისი შემოსვლისთანავე და ამრიგად ახორციელებს განუწყვეტელ კრეფას, რაც ჩაის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

ხაჯერი პირველ რიგში ჰკრეფს პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს და შემდეგ სხვა ხარისხებისას. ასეთი მეთოდი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ, თუ ბუჩქზე გაუხეშებული ფოთოლია, ის დაგვიანებით ან სრულებით არ მოიკრიფოს. პირიქით, კრეფის აგროტექნიკური წესები მოითხოვენ, რომ პირველი ხარისხის ფოთლის მოკრეფას თან სდევდეს გაუხეშებული ფოთლის მოკრეფა, და ჩვენი სახელოვანი მკრეფავიც სწორედ ასე იქცევა.

წარჩინებული მკრეფავი სამუშაო დროს მაქსიმალურად იყენებს, შრომა კარგად აქვს მოწესრიგებული, საუცხოოდ იცნობს ჩაის კულტურის მოვლის წესებს და ამდიდრებს მას პირადი გამოცდილებით. ამხ. ხაჯერი თავისი მამაცური შრომით სხვებსაც აღაფრთოვანებს, რომ კიდევ უფრო გაადიდონ შრომისნაყოფიერება. ამასთანავე ის სხვებსაც ასწავლის ჩაის კრეფის ტექნიკას. მრავალი სტახანოველი აღზარდა ამ სახელოვანმა კოლმეურნემ.

დღეს სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავს, სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად, ამხ. კაკაბაძე ბრწყინვალე წარმატებებით ხვდება და სიტყვას იძლევა, რომ შემდგომშიაც მთელი ენერგიით იმუშავებს ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად შრომის ფრონტზე.

პატრიოტი ქალი თავის სიტყვას შეასრულებს და წელს სამშობლოს მისცემს ოცი ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატი

(კასპი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კასპის რაიონში შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატის სახელი მოხვეჭილი აქვს სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელს შ. ბეგიაშვილს. მან ბევრჯერ მიიღო 800-დან 1.150 ცენტნერამდე ჭარხალი ჰექტარზე.

წელს 20 მარტს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე მოწვეულ თათბირზე შ. ბეგიაშვილმა პირობა დასდო, რომ ჰექტარზე მოიყვანს 1.200 ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

რა ღონისძიებანი გაატარა მან ჰექტარზე 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოსაყვანად?

კოლმეურნე ბეგიაშვილი განუხრელად ახორციელებს შაქრის ჭარხლის მოყვანის აგროტექნიკურ წესებს. იგი საჭარხლე ნაკვეთს წინასწარ სწავლობს, ეცნობა ნიადაგის თვისებებს, მის ნაყოფიერებას, სწმენდს ადგილს ქვების, ძირებისა და ბუჩქნარებისაგან, ასწორებს ნაკვეთის ზედაპირს. თუ საჭარხლედ ნაპურალს იყენებს, მოსავლის აღებისთანავე ატარებს ნაწვერალის აოშვას, რომ ნიადაგმა ნესტიანობა არ დაჰკარგოს და არ გამაგრდეს.

შაქრის ჭარხალი კარგად ვითარდება ღრმად დამუშავებულ ნიადაგში, წინააღმდეგ შემთხვევაში ძირები წვრილი, უსწორმასწორო და დატოტვილი გამოვა. ამიტომ შ. ბეგიაშვილი ნიადაგს ხნავს აოშვიდან 20-25 დღეში მაინც, 25-28 სანტიმეტრ სიღრმეზე.

უხვი მოსავლის მიღება შესაძლებელია ნიადაგის არა მარტო კარგი დამუშავებით, არამედ კარგად გაპატივებით. ბეგიაშვილს მეტი წილი ნაკელი და მინერალური სასუქიც ღრმად ხვნის წინ შეაქვს, შემდეგ კარგად ასწორებს მას მიწის ზედაპირზე იმის გათვალისწინებით, თუ სად რამდენია საჭირო, და შემდეგ კი ჩახნავს მიწაში. ნიადაგის განოყიერებისათვის ბეგიაშვილი იყენებს საქონლისა და ფრინველის ნაკელს, ნაცარს და სხვ. შარშან მან, საჭარხლე ნაკვეთში ღრმად მოხვნის წინ ჰექტარზე 80 ტონამდე ნაკელი, 6 ცენტნერი ნაცარი და 2 ცენტნერი მინერალური სასუქი შეიტანა. ზამთარში მოამზადა იარაღ-მანქანები, დამატებით შეაგროვა სასუქები.

მარტში ბეგიაშვილმა ნიადაგი აოშა ძირითადი ხნულის გარდიგარდმო. ამ სამუშაოს ჩატარებისთანავე ნიადაგი გარდიგარდმო დაფარცხა ორჯერ. მზრალის აოშვით და დაფარცხვით მიაღწია ბელტების დაშლას, ნიადაგის ქერქის მოსპობას, დაგროვილი სინესტის შენარჩუნებას. თესვისწინა დამუშავება ისე კარგად იქნა ჩატარებული, რომ სარეველა მცენარეები სავსებით მოისპო, მიწა წვრილმარცვლოვანი, ფხვიერი გახდა.

ამხ. ბეგიაშვილმა თესლი შეარჩია ღია. ყვითელი ფერის, 85 პროცენტამდე აღმოცენების უნარისა და 97 პროცენტი სიწმინდისა. რადგან დიდი სიცივეები არ იყო და ნიადაგი არ ტალახდებოდა, ჭარხალი დასთესა მარტის ბოლოს ტრაქტორის საშუალებით, მანქანით, სულ ერთ დღეში, 3-4 სანტიმეტრის სიღრმეზე და მწკრივთა შორის 45,5 სანტიმეტრის დაშორებით. თესვის დროს მანქანის საშუალებით თესლთან ერთად ნიადაგში შეიტანა ორი ცენტნერი სუპერფოსფატი, შემდეგ ნიადაგი დატკეპნა სპეციალური სატკეპნელით.

აპრილში გამოჩნდა შაქრის ჭარხლის მწკრივები. ბეგიაშვილმა აღმოცენებისთანავე 2-3 დღეში ჩაატარა რიგთა შორის პირველი მსუბუქი გაფხვიერება. ამით მიაღწია ნიადაგის ქერქის სრულ დაშლას, აორთქლების შემცირებას. ერთი წყვილი ნამდვილი ფოთლის გამოჩენისთანავე ჩაატარა მწკრივებში თოხით გაფხვიერება და გამოხშირვა. ამ მიზნით გამოიყენა სპეციალური საზომი და ყოველ 18 სანტიმეტრზე დასტოვა თითო მცენარე, სუსტები კი—ორ-ორი, რომ საბოლოოდ ჰექტარზე გამოსულიყო 110 ათასი ძირი შაქრის ჭარხალი.

გამოხშირვა-გაფხვიერების მოთავების შემდეგ შ. ბეგიაშვილი შეუდგა პლანტაციის შემოწმებას ანუ მწკრივებში დარჩენილი ზედმეტი მცენარეების გამორჩევას და დამატებითი საკვების მიცემას. ცდილობდა სუსტი მცენარე დასწეოდა ძლიერს და ყველა ერთად მალე განვითარებულიყო. ამისათვის გამოიყენა თითო ცენტნერი აზოტოვანი სასუქი და კალიუმის მარილი. დამატებითი კვება მაისში ორჯერ ჩაატარა, მესამე კი ივნისში. პირველი გაპატივებისას ხსნარი ნიადაგში შეჰქონდა მწკრივიდან 5-7 სანტიმეტრის დაშორებით, მეორედ გაპატივებისას—7-10 სანტიმეტრზე, ხოლო შემდეგ—12-15 სანტიმეტრზე. აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის პირველ რიცხვებში განზრახული აქვს საქონლის ან ფრინვლის ნაკელწყლით ჩაატაროს მეოთხე გამოკვება.

ამხ. ბეგიაშვილი მიმართავს ზრდაში ჩამორჩენილი მცენარეების ინდივიდუალურ გამოკვებას გადიდებული დოზით.

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ფხვიერად შენახვას. ამიტომ ბეგიაშვილი 5-6-ჯერ აფხვიერებს მიწას. პირველად გააფხვიერა 6 სანტიმეტრის სიღრმეზე, მეორედ—7 სანტიმეტრზე, მესამედ—10-ზე, მეოთხედ—12-ზე, მეხუთედ—14-18 სანტიმეტრზე ბარით. გვალვის დროს ნიადაგს უფრო ზერელედ აფხვიერებს, რომ არ გამოშრეს.

ამხ. ბეგიაშვილს განზრახული აქვს ნიადაგის მეექვსედ გაფხვიერებისას ნაკვეთს მოაყაროს 2 ცენტნერი მინერალური სასუქი და ჩათოხნოს. ნიადაგს რწყავს საჭიროების მიხედვით, წელს ჯერჯერობით 4-ჯერ მორწყა. სარეველა მცენარეებს გამოჩენისთანავე სპობს. მცენარის ავადმყოფობა ან მავნებელი არ ეუნიშნავს, რადგან დაცვისათვის აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს თავის დროზე ატარებს. ბეჯითმა კოლმეურნემ ჰექტარზე შეინარჩუნა 110.000 ძირი ჭარხალი.

საბჭოთა პატრიოტი შ. ბეგიაშვილი შაქრის ჭარხლის ნაკვეთს დღისითაც უვლის და ღამითაც. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ე. ლომსაძე და აგრონომი ი. ცინცაძე.

ტრ. თოდრაძე

ტრაქტორის საჭესთან

9 წლის წინათ ულიანოვკაში პირველად გამოჩნდა საკოლმეურნეო მინდვრებზე ქალი ტრაქტორის საჭესთან. თანასოფლელები გარს ეხვეოდნენ მას. ყველას სურდა თვითონ დაენახა და ეგრძნო სოფიო უსენაშვილის მარჯვენის ძალა.

...და ეს მათ დაუდასტურა ათეულ ჰექტარობით გადახნულმა მიწამ. აი, შეხე, შეხე ქა, ჩვენს სოფიოს, როგორ თამამად ეპყრობა ტრაქტორს!—ამბობდნენ ულიანოვკელი ქალები.

სოფიოს წარმატების ამბავი ულიანოვკას გასცილდა; ჯერ გავრცელდა მთელ სიღნაღის რაიონში, ხოლო მალე საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებს მოედო. სოფიო ყოველწლიურად უფრო კვალიფიციური ტრაქტორისტი ხდებოდა. და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ჰექტარები იწერებოდა მის პირად ბარათში.

სოფიო ოთხი შვილის დედაა, სამი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის. ქალიშვილები საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობენ, ხოლო გიორგი გმირულად იბრძვის ფრონტზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. სამამულო ომის დაწყებამდე გიორგიც ტრაქტორისტი იყო. დედა-შვილი ერთად მუშაობდნენ.

ომმა დააცილა ისინი. დედა დარჩა ზურგის მებრძოლად. გიორგიმ კი ფრონტზე მოიხვეჭა სახელი. ის დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“. ომიანობის დღეებში სოფიომ გააძლიერა მუშაობა. თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებ ფონდში პატრიოტმა ქალმა პირველმა შეიტანა მნიშვნელოვანი თანხა. სამხედრო სესხებზე ყოველთვის პირველი აწერს ხელს.

წელს სოფიომ „სტზ“ მარკის ტრაქტორით ხვნა-თესვის გეგმა 140 პროცენტით შეასრულა, საწვავი დაზოგა 200 კილოგრამის რაოდენობით, საუკეთესოდ შეაკეთა თავისი ტრაქტორი და № 25 კომბაინთან ერთად გავიდა მინდვრად პურეულის ბარაქიანი მოსავლის ასაღებად.

სოფიო უსენაშვილი ზურგის გმირი ქალია, ამიტომ დაიმსახურა კიდეც უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი.

ლენინის ორდენით დედის დაჯილდოების ამბავი გიორგიმ ფრონტზე გაიგო. სიხარულისაგან აღტაცებულმა ეს ამბავი მასთან მყოფ ყველა მებრძოლს ახარა. გიორგიმ დედას წერილი მოსწერა: „დედი, მოგილოცავ უმაღლესი ჯილდოს მიღებას. შენ იცი, როგორ უპასუხებ ამ ჯილდოს, მეც აქ უფრო მედგრად ვიბრძოლებ ფაშისტების წინააღმდეგ. ჯერჯერობით მედალოსანი ვარ. ჩემო დედი, მართალია, შენ მაჯობე, მაგრამ ვცდილობ მეც გაგისწორო ნაბიჯი, თორემ ბიჭები მეხუმრებიან,—არა გრცხვენია, დედამ გაჯობაო. კარგად იყავი, დედი, მე სახელოვნად ჩამოვალ და შეგხვდები, დაგასვენებ“...

ამ წერილით აღფრთოვანებულმა სოფიომ ვალდებულება იკისრა თავისი ტრაქტორი შეუფერხებლად ამუშაოს, დაზოგოს საწვავი. ნორმები ორმაგად შეასრულოს და კომბაინერ ი. ხომუტოვთან ერთად წელს 400 ჰექტარზე აიღოს მოსავალი.

ნაკისრი ვალდებულებები მან შეასრულა. ასეთი მიღწევებით ხვდება სოფიო სტახანოვური მოძრაობის 9 წლისთავს. სახელოვანი წითელი არმიის უმაგალითო წარმატებებით აღფრთოვანებულმა სტახანოველმა ტრაქტორისტმა ახალი ვალდებულებანი იკისრა.

ნ. ჯანჯღავა

თავდადება მუშაობაში

გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე ჰოსპიტლის პალატებში დაჭრილ მებრძოლთა სასთუმალთან ყოველთვის ნახავთ ახალგაზრდა ექიმს იულია ფარეშაშვილს. იგი მზრუნველობით დასტრიალებს თავს დაჭრილ მეომრებს, სახვევს უცვლის მათ, ჭრილობას უსინჯავს, თავის ხელით ასმევს, აჭმევს, გულთბილად ესაუბრება.

იულია ჩამოუვლის ხოლმე დაჭრილებს, მიუალერსებს, გაამხნევებს, რჩევა-დარიგებას აძლევს და შემდეგ მიეშურება საოპერაციო ოთახში, სადაც მის მადლიან ხელებს უცდიან.

საოპერაციო მაგიდაზე წევს დაჭრილი მეომარი, რომლისთვისაც ყუმბარის ნამსხვრევს ბარძაყის ძვლები დაუმტვრევია და მუხლის სახსრები დაუზიანებია. დახელოვნებულმა ქირურგმა ეს მძიმე ოპერაცია ბრწყინვალედ ჩაატარა და რამდენიმე დღეში ავადმყოფს სახსრების მოძრაობა აღუდგინა.

ერთ მეომარს ფეხზე ჭრილობა გართულებოდა და დაჩირქებოდა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კანის გადანერგვა. იულიამ სასწრაფოდ გააკეთა ოპერაცია. ავადმყოფს ჭრილობა გაუწმინდა, ამოაცალა დაჩირქებული კანი და სხეულის სხვა ადგილიდან საღი კანი გადმოუნერგა. ოპერაციამ მთელი ორგანიზმი მოწამვლას გადაარჩინა და ჭრილობაც სულ მოკლე ხანში სავსებით მოშუშდა.

მთელი დღეობით ასე შეუსვენებლად მუშაობს გარეგნობით სუსტი, ნაზი, მაგრამ მხნე და ენერგიული პატრიოტი ქალი. მის მუშაობაში თავდადებაცაა და თავდავიწყებაც.

ავადმყოფი მებრძოლები იულიას მადლობის გამომეტყველი ღიმილით ხვდებიან. ამ ღიმილში ის თავისი მუშაობის წარმატებას ხედავს.

ახალგაზრდა ექიმი იულია ნიკოლოზის-ასული ფარეშაშვილი მე-2 ქირურგიული განყოფილების უფროსად მუშაობს ნ საევაკუაციო ჰოსპიტალში.

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ იულია ფარეშაშვილს კარგად იცნობდნენ საქართველოში, როგორც სპორტის ოსტატს, საუკეთესო ტანმოვარჯიშეს. არ ყოფილა არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება, სადაც მას არ დაეკავებინოს ერთ-ერთი პირველი ადგილი. საუკეთესო ფიზკულტურელი ქალი ამავე დროს მშვენივრად ათავსებდა თავის ძირითად სპეციალობას — ექიმობას სხვა საზოგადოებრივ სამუშაოსთან. 1935 წელს მან დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ჰოსპიტალურ-ქირურგიულ კლინიკაში აკადემიკოს მუხაძესთან. აქვე დაამთავრა ასპირანტურა. სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი გაიწვიეს წითელ არმიაში და მის შემდეგ ჰოსპიტლებში მუშაობს.

იულია ფარეშაშვილი სპეციალისტია ბარძაყის მოტეხილობის, მუხლის, დაზიანებული სახსრებისა და კანის გადანერგვის ოპერაციებისა. განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა მის მიერ ჩატარებული კანის გადანერგვა და ჩონჩხოვანი გაჭიმვა.

საქართველოს საევაკუაციო ჰოსპიტლების კონფერენციაზე და ქირურგიული სექციის სხდომაზე დემონსტრირებული იყო კანის გადანერგვის ნიმუშები. იულია ფარეშაშვილის მუშაობა ამ დარგში მოიწონეს და სათანადოდ შეაფასეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქირურგებმა პროფესორმა ჯანელიძემ, პროფესორმა ანდრეევმა და შავი ზღვის ფლოტის მთავარმა ქირურგმა ბ. პეტროვმა.

დაჭრილი მებრძოლების კარგად მოვლისა და მკურნალობისათვის და აგრეთვე მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის მე-2 ქირურგიულმა განყოფილებამ გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. თვით იულია ფარეშაშვილს ჰოსპიტლის ხელმძღვანელობამ ბრძანებით მრავალჯერ გამოუცხადა მადლობა.

იულიას მაგიდაზე წერილების გროვაა. მის მიერ განკურნული მებრძოლები არ ივიწყებენ თავიანთ საყვარელ ექიმს და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან დიდი სიყვარულით სწერენ მას მადლობის წერილებს.

— ჩემი მხურვალე წითელფლოტური სალამი ძვირფას იულია ნიკოლოზის-ასულს! ახლა ვიმყოფები მებრძოლ ხომალდზე. კვლავ მწყობრში ჩავდექი. თქვენი კეთილსინდისიერი მზრუნველობის შედეგად თქვენ დამიბრუნეთ ჯანმრთელობა და შემინარჩუნეთ სიცოცხლე, რათა დავიცვა სამშობლო. მომავალში ვეცდები თქვენი პატივისცემა გადავიხადო საბჭოთა მეზღვაურის მთელი წრფელი გულით! — სწერს მეზღვაური ვ. ცვირენკო.

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში დაჭრილ მებრძოლთა ჯგუფი აღფრთოვანებით ვწერს ექიმ იულია ფარეშაშვილის დაუღალავ მუშაობაზე: „ამ სასიხარულო მომენტში, როცა ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს მტერს და მიერეკება მას ჩვენი მიწა-წყლიდან, პატრიოტი ქალი იულია ფარეშაშვილი ზურგში ფრონტულად მუშაობს დაჭრილ მეომართა გამოჯანსაღებისათვის, რითაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მტერზე გამარჯვების საქმეში. უახლოეს დროში დავბრუნდებით ფრონტზე ჩვენს ნაწილებში და მუდამ სიყვარულით მოვიგონებთ იულია ნიკოლოზის-ასულს, ჩვენი სამშობლოს ამ ერთგულ ქალიშვილსა და თავდადებულ მუშაკს“.

ალ. ჭუღნია

დავამყაროთ წესრიგი ცხოველთა დამზადებაში

ამ დღეებში თბილისში ჩატარდა ცხოველთა დამზადების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა 1944 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ბერიშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ცხოველთა დამზადების რესპუბლიკური ტრესტის დირექტორმა ამხ. სტურუამ, ცხოველთა დამზადების რაიონული კანტორების ხელმძღვანელებმა: ამხ. ორკოდაშვილმა (თელავი), სვიმონიშვილმა (წითელწყარო), დევიძემ (ქუთაისი), ბიგულაევმა (სამხრეთ-ოსეთი), პაპალიამ (აფხაზეთი), თევდორაშვილმა (გურჯაანი), გრიგორიანმა (ასპინძა) და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაერთიანებები გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დამზადებათა გეგმებს. მაგრამ, ცხოველთა დამზადების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს და ბოროტმოქმედებასაც. საქართველოს სსრ ცხოველთა დამზადების ტრესტმა ვერ უზრუნველჰყო რაიონული კანტორების სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი, არ მიიღო გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა და ბოროტმოქმედებათა დროულად აღმოფხვრისათვის.

1944 წლის მარტო პირველ ნახევარში დამზადებით მიღებული პირუტყვის მოუვლელობით ცოცხალი წონის დანაკლისმა რესპუბლიკაში მიაღწია 1.198 ცენტნერს. დანაკლისი განსაკუთრებით დიდია ბოგდანოვკის, წითელწყაროს, ონის, თელავის, სიღნაღის, ბაშკიჩეთის და ადიგენის რაიონებში.

პირუტყვის დაკარგვისა და სიკვდილიანობის შემთხვევები ხშირია ბოგდანოვკის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, თელავის, წითელწყაროს, ხაშურის, ხობის და ზუგდიდის რაიონებში. მთლიანად რესპუბლიკაში მარტო წელს პირუტყვის დაკარგვით, სიკვდილიანობით, წონისა და კონდიციის დანაკლისებით გამოწვეულია 229.600 მანეთის ზარალი დამზადების მტკიცე ფასების მიხედვით. ამავე დროს რაიონული კანტორების ხელმძღვანელები ხშირად კმაყოფილდებიან „დანაკარგების“ დამნაშავე პირებზე დაწერით და სრულიად არ ზრუნავენ ზარალი ანაზღაურებულ იქნას, ხოლო დამნაშავე დაისაჯოს.

რაიონებში ხშირად პირუტყვს გათვალისწინებულ ვადაზე მეტხანს აჩერებენ დამზადების ადგილზე და ხარჯებს ხელოვნურად adიდებენ. პირუტყვის ბაზებში ხანგრძლივი გაჩერებით, მაგალითად, საგარეჯოს რაიონულმა კანტორამ გადახარჯა 733 ცენტნერი საკვები, ქარელისამ — 161, ხაშურისამ — 175, ხობისამ — 400 ცენტნერი. ცაგერის რაიონულმა კანტორამ (მმართველი ხეცურიანი) ღორების ხანგრძლივად გაჩერებით გაანიავა 31.000 მანეთად ღირებული სიმინდი. ბოლნისის (მმართველი მუსაევი), საგარეჯოს (მმართველი ბებიაშვილი), ყარაიის (მმართველი ალიევი) რაიონული კანტორებიც თვეობით აჩერებენ ღორებს ჩაუბარებლად საბაბი რომ ჰქონდეთ საკვების ზედმეტად ხარჯვისათვის. ჩოხატაურის რაიონული კანტორის მმართველმა ბოკერიამ პირუტყვის გარეკვისათვის გათვალისწინებული 6.000 მანეთის ნაცვლად „გააფორმა“ 44.000 მანეთის „საბუთები“.

ბოგდანოვკის, ხულოს და ზოგიერთი სხვა რაიონის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ადგილებზე საქონლის დაკვლა ხშირად ხდება განზრახ, ანგარების მიზნით: ხორცის რეალიზება ხდება კერძოდ, დიდ ფასებში და ზედმეტად აღებული თანხა არ მიდის სახელმწიფო სალაროში. ბევრ შემთხვევაში პირუტყვის დაკვლას არ ესწრება ვეტექიმი და მთლიანი გამოსავლიანობა არ იწერება აქტებში.

სახელმწიფო ქონების მითვისებას ადვილებს ისიც, რომ ზოგან პირუტყვი სრულიად არ იბირკება (ოჩამჩირის რაიონი), აგრეთვე არ აწარმოებენ ბაზის წიგნს (გალის რაიონი).

ცხოველთა დამზადების საქმეში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თათბირმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პრემიერა რუსთაველის თეატრში

1 სექტემბერს რუსთაველის თეატრი ხსნის 1944-45 წლის სეზონს ს. კლდიაშვილის პიესა „ირმის ხევით“. პიესის თემაა კავკასიის გმირული დაცვა. სპექტაკლს სდგამს ა. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს თ. აბაკელია, მუსიკა დასწერა ვ. გოკიელმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ნ. ლაფაჩი და მ. ჩახავა (ასმათი), გ. საღარაძე (საბაშვილი), მ. ჩიხლაძე (დოლგათი), ნ. დავითაშვილი (ფატმანი), ს. ჯაფარაძე (ცოკაევი) და სხვ.



ლენინის სახელობის დნეპროპეტროვსკის ორდენოსან ქარხანაში აღდგენილი და ამუშავებულია მილების შესადუღებელი დაზგა.

ფოტო ე. ტიხანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ინტერესი ისტორიული ლიტერატურისადმი

ომმა დიდი ინტერესი გამოიწვია ისტორიული ლიტერატურისადმი. წარსულის ფურცლები აღაფრთოვანებენ ჩვენს ადამიანებს გმირობისათვის. მკითხველი აქ ეცნობა ახლანდელი გმირული დროის სათავეს. მოსკოვის წიგნის მაღაზიების დირექტორები ამბობენ, რომ ამჟამად ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა ისტორიულ ლიტერატურაზე. ამიტომ მისასალმებელია ინიციატივა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა, რომელმაც დაიწყო ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი მიძღვნილი წიგნების სერიის გამოცემა. უკვე გამოვიდა აკადემიკოს გრეკოვის წიგნი „კიევის რუსეთი“, რომელშიც განზოგადებულია მეცნიერის მრავალი წლის მუშაობა რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის გამოსაკვლევად. დიდ ინტერესს იწვევს აკადემიკოს კრაჩკოვსკის და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ანდრეევის რედაქციით გამოცემული დოკუმენტთა კრებული, რომელიც მიძღვნილია იმ აღმოჩენებისადმი, რაც რუსებმა მოახდინეს წყნარ ოკეანეში და ჩრდილოეთ ამერიკაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დამდეგს. ბიბლიოთეკები და წიგნის მაღაზიები მალე მიიღებენ აკადემიკოს ვიპერის ახალ წიგნს. წიგნი მიძღვნილია რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად კოლორიტული ფიგურისადმი, რომელმაც ესოდენი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ახსნა-შეფასება გამოიწვია. ლაპარაკია მეფე ივანე მრისხანეზე. აკადემიკოსი ვიპერი ანალიზს უკეთებს დოკუმენტებს, რომლებიც ცნობილი გახდნენ მხოლოდ ამ უკანასკნელ ათ წელიწადში, და ახასიათებს ივანე მრისხანეს, როგორც უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, დიპლომატს და მხედართმთავარს.

სსრ კავშირის დიდ თეატრში სეზონი გაიხსნა

სსრ კავშირის დიდმა თეატრმა სეზონის გახსნისათვის აირჩია ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი“, ხოლო თავის ფილიალში დასადგმელად — რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე“. ორივე სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დიდ ინტერესს იწვევს დიდი თეატრის მუშაობის შემდგომი გეგმები. მოსკოველები ნახავენ „ალოს“, „ტარას ბულბას“, აგრეთვე „რიგოლეტოს“ ახალ დადგმებს. „რიგოლეტოზე“ მუშაობს რეჟისორი შარაშიძე. დიდი თეატრის დასი შევსებულია ახალი ძალებით. სხვადასხვა სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ გამოჩენილ მომღერლებს. მაგალითად, ამ სეზონში მოსკოველებს შესაძლებლობა ექნებათ უფრო ახლო გაიცნონ საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი დავით გამრეკელი, რომელმაც საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა ამას წინათ გამართული ქართული მუსიკის დეკადის დროს.

პოლონური მუსიკის კონცერტები

მოსკოველთა დიდ ინტერესს იწვევს პოლონური მუსიკის კონცერტები. პოლონური მუსიკა ამჟამად, ფაშისტური უღლისაგან პოლონეთის განთავისუფლების დღეებში, განსაკუთრებულად ჟღერს. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შესდგა შოპენის ნაწარმოებთა კონცერტი. შოპენი განასახიერებს პოლონელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულს. კონცერტზე შესრულებულ იქნა აგრეთვე პოლონელი კომპოზიტორების მონიუშკოს, ნოვკოვსკის, ოგინსკის ნაწარმოებნი.

გამოფენა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში

1 სექტემბერს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გაიხსნება გამოფენა თემაზე: „პატრიოტიზმი ქართულ მწერლობაში“. ცალკე ოთახში მოწყობილია გამოფენა — „სამამულო ომის გმირები“.

მოსავლის აღება

(საქმიწსახკომის 25 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	აღებულია თავთავიანი კულტურების მოსავალი პროცენტობით	აღებული მოსავლიდან გალეწილია პროცენტობით	რაიონები	აღებულია თავთავიანი კულტურების მოსავალი პროცენტობით	აღებული მოსავლიდან გალეწილია პროცენტობით
აჭარის ასსრ	100,0	—	ქარელი	97,4	62,9
სამხრეთ-ოსეთის			გ ო რ ი	89,7	74,8
ა. ო.	73,9	62,6	კასპი	95,5	62,6
ქუთაისი	100,0	100,0	ბორჯომი	36,4	80,1
წყალტუბო	100,0	100,0	წალკა	17,2	10,3
სამტრედია	100,0	100,0	დუშეთი	84,6	57,6
მაიაკოვსკი	96,8	100,0	თეთრი წყარო	92,1	70,2
ზესტაფონი	100,0	47,1	თიანეთი	84,3	24,8
ჩხარი	100,0	82,0	გურჯაანი	100,0	89,4
ჭიათურა	91,0	35,9	სიღნაღი	100,0	100,0
საჩხერე	99,1	72,2	წითელწყარო	100,0	100,0
ორჯონიკიძე	100,0	100,0	თელავი	98,9	84,1
ო ნ ი	70,7	17,8	ყვარელი	100,0	100,0
ამბროლაური	91,3	80,9	ლაგოდეხი	100,0	95,4
ცაგერი	98,2	82,9	თბილისი	100,0	78,5
ქვემო სვანეთი	100,0	55,2	მცხეთა	100,0	75,7
ახალქალაქი	51,2	5,4	ყარაია	100,0	53,8
ბოგდანოვკა	7,2	5,8	ბორჩალო	100,0	79,2
ახალციხე	97,8	48,7	ბოლნისი	100,0	78,8
ადიგენი	91,0	35,2			
ასპინძა	65,4	28,0	საგარეჯო	99,0	78,0
ხაშური	100,0	88,6	ბაშკიჩეთი	58,4	31,4

დეპეშები

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

იტალიაში მე-8 არმიის მოწინავე ნაწილები, რომლებიც ფრონტის ადრიატიკის სექტორში მოქმედებენ, განაგრძობდნენ თავიანთი ხიდწინა სიმაგრის გაფართოებას მდინარე მეტაუროს ჩრდილოეთით მტრის გაძლიერებული წინააღმდეგობის პირობებში. ფრონტის სხვა სექტორებში აღნიშნულია წინსვლა „გოტის ხაზისაკენ“. ადრიატიკის სექტორში მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ქალაქი ფანო. ფლორენციის სექტორში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

სამხრეთ საფრანგეთში ფრანგთა ჯარებმა, რომლებიც მე-7 არმიის შემადგენლობაში შედიან, მიაღწიეს უსიტყვო კაპიტულაციას გერმანელთა უკანასკნელი ჯარებისას მარსელში და კუნძულ ფრიულზე, ქალაქის დას თით. კაპიტულაცია მოახდინა აგრეთვე გე ნელთა გარნიზონმა ტულონის რაიონში, ს მანდრიეს ნახევარკუნძულზე. ორივე ქალაქ წამოყვანილია რამდენიმე ათასი ტყვე. მდი რე რონის ხეობაში ამერიკის მე-7 არმ ნაწილები განაგრძობენ წინსვლას მონტელი რის რაიონში, სადაც ხელთ ვიგდეთ მოწი აღმდეგის მიერ მიტოვებული ბევრი ავტომ ქანა და დიდძალი საჭურველი. უფრო შ სამხრეთისაკენ ფრანგთა ჯარები რამდენ პუნქტში გადავიდნენ რონაზე. აღმოსავლ სანაპიროს რაიონში ამერიკის ჯარები შევ ნენ ქალაქებში ვანსსა და კანში.

მოკავშირეთა ავიაცია 28 აგვისტოს იერ ში მიიტანა ნავთსარეწზე და რკინიგ კომუნიკაციებზე ავსტრიაში, უნგრეთში, ჩრ ლოეთ იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთშ

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებმაც გადალახეს სენა ტრუასთან, მიაღწიეს ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 15 მილზე მდებარე პუნქტს. მეორე გადასასვლელი შექმნილია რამდენიმე მილზე ჩრდილოეთით. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ, მარნის დინების დაყოლებით, მონმირაილს მიაღწიეს. განთავისუფლებულია ლაფერტე-სიურ-ჟუარი. მის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ძალებმა მიაღწიეს კოუვენრნიონს (მარნადან 14 მილზე). წინს სწრაფად ხდება და მტერი უმნიშვნელო წი აღმდეგობას გვიწევს.

მოკავშირეთა ჯარები მტკიცედ გამაგრ სენის თითქმის მთელ ხაზზე, და მტრის ხ ში დარჩა მარტო მდინარის სამხრეთით მ ბარე ტერიტორია მოსახვევში ელბეფსა ზღვას შუა.

ბრეტანში მოკავშირეთა ნაწილები ერთ ბიან ბრესტთან. წინ მიიწევენ სამი მხრი და ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ მიდიან წ ხვდებიან რა მტრის გააფთრებულ წინააღ დეგობას.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდა ხმებს მოწინააღმდეგის ობიექტებზე.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ესენს

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 28 აგვისტოს ღამით „მოსკიტოს“ მარკის თვი მფრინავები თავს დაესხნენ ესენს.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სერბიაში გრძელდება წარმატებითი შეტევითი ოპერაციები ყველა უბანზე. ზლატიბორის სექტორში განადგურებულია ბულგარელებისა და ჩეტნიკების კოლონა, რომელიც ციკოტის უტევდა. დასავლეთ სერბიაში იუგოსლავიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ჩაოტინა, მოკლულია 500 ბულგარელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოყვანილია 80. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის სამი ქვემეხი. აღმოსავლეთ სერბიაში დაკავებულია პუნქტი სოკო ბანია. გრძელდება ტერიტორიის გაწმენდა მორავ და დუნაის მიმართულებით.

ჩერნოგორიაში სახალხო-განმათავისუფლებ ლი არმიის ნაწილები ათი დღის თავდაცვ ბრძოლების შემდეგ გადავიდნენ წარმატებით კონტრშეტევაზე და გაარღვიეს მოწინააღ დეგის ფრონტი მდინარე პივაზე. აღმოსავლ ბოსნიაში განადგურებულია სს-ელთა დივიზ ნაწილები, რომლებიც ცდილობდნენ დაეკავ ბინათ ვლასენიცა. მოწინააღმდეგემ მოკლუ თა სახით 380 კაცი დაჰკარგა.

ლიკასა და გორსკი კოტარში იუგოსლავი ნაწილებმა ბრძოლებით დაიკავეს ბუნიჩი, ლი ბოვო და დრეჟნიცა.

მოკავშირეებმა პარიზის რაიონში ტყვედ წაიყვანეს 11.000 გერმანელი

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომელიც პარიზში იმყოფება, 28 აგვისტოს გამოცხადდა, რომ პარიზის რაიონში ტყვედ არის წამოყვანილი 11 ათასი გერმანელი და მათ შორის გერმა ნელთა 84-ე კორპუსის სარდალი გენერა შულტიცი. ეს კორპუსი წინააღმდეგობას უწე და ამერიკის ჯარებს, რომლებიც პარიზ შედიოდნენ.

ანტისემიტური დეკრეტების გაუქმება ბულგარეთში

სოფია, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის დეკლარაციის შესასრულებლად გააუქმეს ებრაელთათვის წინათ შემოღებუ ყველა პოლიტიკური და მატერიალური ხასი ათის შეზღუდვა და გააუქმეს „ებრაელთა სა კითხების კომისარიატი“.

მწერლების შეხვედრა ბავშვებთან

26 აგვისტოს კოჯრის № 9 საბავშვო სახლის ინიციატივით მოეწყო ქართველი მწერლების შეხვედრა კოჯრის საბავშვო სახლების ბავშვებთან. შეხვედრას დაესწრნენ მწერლები და კრიტიკოსები ს. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, ი. აბაშიძე, რ. გვეტაძე, გრ. აბაშიძე, დ. შენგელაია, ლ. ასათიანი, შ. ბუაჩიძე.

ბავშვები სიხარულით შეხვდნენ მწერლებს. მწერლების სახელით ბავშვებს მიესალმა ლ. ასათიანი. შემდეგ № 9 საბავშვო სახლის ბა შვებმა წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსებ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. გრიშაშვილ მა, ი. აბაშიძემ, რ. გვეტაძემ და გრ. აბაშ ძემ.

საღამოს მეორე განყოფილებაში № 9 სა ბავშვო სახლის აღსაზრდელებმა მწერლებ უჩვენეს თავიანთი მხატვრული თვითმოქმ დება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პლენუმი

30 აგვისტოს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პროსპექტი № 83) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის X პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლუარსაბოვი).
2. ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ 1944 წლის 1 მაისიდან 25 აგვისტომდე.

ლ ე ქ ც ი ა

31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ჯაფარიძის ქ. № 22) შესდგება ამხ. ვ. ხ გუას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ლენინის შრომა „სახელმწიფო და რევოლუცია“.

კ ი ნ ო ე ბ შ ი

30 აგვისტოს: რუსთაველის სახელობის, დამკვრელი და 26 კომისრის სახელობის — „ჯურღაის ფარი“. ოქტომბერი — „სიმღერ სიყვარულზე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

გზათა სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ლ. პ. ბერიას სახელობის ბათუმის ტექნიკუმი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1944-45 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14-დან 25 წლის ასაკამდე. ტექნიკუმში ორი სექტორია — ქართული და რუსული. სწავლის ვადა 4 წელია. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: პირველ კურსზე — შვიდკლასდამთავრებული ფრიადოსნები, მეორე კურსზე — ცხრაკლასდამთავრებულნი, მე-3 კურსზე — საშუალო სკოლის კურს დამთავრებულნი. სხვებისათვის (ვინც პირველ კურსზე შემოდის) გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), დ) სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას, სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან, სამრეწველო საქონლით მარაგდებიან რკინიგზელთა თანაბრად და სარგებლობენ დახურული სასადილოთი. ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე. გამოცდები დაიწყება 11 სექტემბერს, სწავლა კი — 1 ოქტომბერს.

შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: ა) განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე, ბ) განათლების მოწმობა (დედანი), გ) დაბადების მოწმობა (დედანი), დ) ავტობიოგრაფია, ე) ჯანმრთელობის საბუთი და ვ) სამი ფოტოსურათი.

მისამართი: ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. № 10, რკინიგზის ტექნიკუმი

ტექნიკუმის დირექცია

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

(რუსთაველის პროსპექტი, № 21, ტელეფონი 3—64—11)

გრძელდება განცხადებების მიღება სამსახიობო, სარეჟისორო და მიმდინარე სასწავლო წელს ახლადდაარსებულ თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

გამოცდები სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე დაიწყება 1944 წლის 5 სექტემბერს, თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტზე — 20 სექტემბერს. სწავლება სამსახიობო ფაკულტეტზე 4-წლიანია, სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე — 5-წლიანი.

დაწვრილებითი ცნობები თეატრალური ინსტიტუტის კანცელარიაში, ყოველდღე 3-დან 5 ½ საათამდე.

დირექცია

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის

სამკერვალო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა აცხადებს მოწაფეთა მიღებას ახალგაზრდებისას 15 წლიდან.

მიღებულებს სკოლა აკმაყოფილებს სტიპენდიით, ტანსაცმლით (ნახევარ ფასში) და უფასო კვებით.

სკოლას აქვს საერთო საცხოვრებელი. შემსვლელთათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: განცხადება, განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია და პასპორტი. განცხადებების მიღება სწარმოებს.

მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელეფონი 3—26—65.

სკოლის ადმინისტრაცია

საქართველოს სსრ ჯანსახკომის თბილისის მე-3 საფერშლო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1944-45 სასწავლო წლისათვის 1 კურსზე, ქართულ და რუსულ სექტორებზე. სკოლა ამზადებს ფერშლებს. სკოლადამთავრებულთ ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 7 კლასი ან და გამოსული არიან მე-8, მე-9, მე-10 კლასებიდან. 1943 და 1944 წლებში სკოლადამთავრებული ფრიადოსანი მოსწავლეები საერთო წესით ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ გამოცდებს 7 კლასის ფარგლებში. გამოცდები აწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3. სსრ კავშირის კონსტიტუციასა და 4. მათემატიკაში.

განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე ყოველდღე, დღის 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე. 25 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე ჩატარდება მისაღები გამოცდები. შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის მოწმობა და ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 3 (ყოფ. მე-15 საშუალო სკოლის შენობა).

დირექცია

თბილისის მე-2 საფერშლო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1944-45 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სკოლა ამზადებს ექიმის თანაშემწე-ფერშლებს. სკოლადამთავრებულებს ენიჭებათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი. სკოლაში მიიღებიან არანაკლებ არასრული საშუალო სკოლის ცოდნის მქონე ქალები და ვაჟები 15-35 წლის ასაკისა. 1942, 43 და 44 სასწავლო წელს კურსდამთავრებული ფრიადოსნები და კარგოსნები, საშუალო სკოლადამთავრებულნი და მოსწავლენი საშუალო სკოლის მე-8 კლასის ზევით მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში და სსრ კავშირის კონსტიტუციაში. სტიპენდია საერთო წესით. მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და მომარაგებით. მეცადინეობა დღის საათებში. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს ატესტატი საშუალო ან არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ორი ფოტოსურათი.

განცხადებების მიღება სწარმოებს 20 სექტემბრამდე სკოლის კანცელარიაში დღის 2-დან საღამოს 7 საათამდე. კამოს ქ. № 51, ტელეფონი № 3—81—67.

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

დირექცია

მეუღლე სონია, შვილები ილუშა, ოთარი, ძმები ლევან, ირაკლი, ელიზბარ, დიმიტრი, დები თამარ, მარგარიტა ოჯახებით იუწყებიან **ალექსანდრე (საშა) ილიას-ძე ფავლენიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2/IX, 7 ს. გამოსვენება 3/IX, 4 ს. მარის, 42.

დები ალექსანდრა და დესპინე, ვასო ფუფალაიანი ოჯახით იუწყებიან **სამსონ მალაქიას-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას.

ძმები კოტე, სამუელ, რძალი ელენე, ძმისწულები თინა, არჩილ ცოლ-შვილით იუწყებიან **სამსონ მალაქიას-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VIII, 7 ს. გამოსვენება 31/VIII, 6 ს. არაგვის, 13.

დები ნადია, თამარ თხილავები, სიძეები ნესტორ მიქელაძე, შალვა ჰიჭაშვილი შვილებით იუწყებიან **ვალერიან გიორგის-ძე თხილავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/VIII, 6 ს. ქორესის, 38.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07885